პროლეტარიანებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

შაბათი, 22 მარტი, 1952 წ. № 70 (9230). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

უფრო გავაუმჯობესოთ სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით (1-ლი გვერდი).
პ. ნანიკაშვილი—უბანი მუშაობს ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით (1-ლი გვერდი).
გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა საბჭოთა აპარატის მუშაობისადმი (მე-2 გვერდი).
ე. ბობოხიძე — უმნიშვნელოვანესი ისტორიული თარიღი (მე-2 გვერდი).
სამტრესტის მუშაკები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში (მე-2 გვერდი).
სტალინური პრემიის ლაურეატები (მე-3 გვერდი).
დ. ლაშქარაძე — ბერძენელი ხალხის სიამაყე (მე-3 გვერდი).
სოციალისტური სკოლების მტბცებლებს მფარველობენ (მე-3 გვერდი).
სასტიკი პასუხი ვაგებინოთ ბაქტერიოლოგიური ომის გამჩაღებლებს (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

უფრო გავაუმჯობესოთ სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობა

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის სისტემატური გაუმჯობესებისათვის. ყოველწლიურად იზრდება ასიგნებანი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის. მარტო საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით შარშან ამ მიზნით გათვალისწინებული იყო 490 მილიონ 395 ათასი მანეთი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ჩაყენებულია სამედიცინო მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი. საქართველოში ვინ არ იცნობს პროფესორების ყიფშიძის, ერისთავის, წინამძღვრიშვილის, წულუკიძის, ხუციშვილის, მესტიაშვილისა და მრავალ სხვა გამოჩენილ მკურნალთა სახელებს? ისინი მთელ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას ახმარენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს. პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებენ აფხაზეთის ასსრ მალარიის საწინააღმდეგო სადგურის დირექტორის, სტალინური პრემიის ლაურეატის პეტრე ჯაფარიძის, თელავის სარაიონო საავადმყოფოს ექიმ ენთუზიასტის სოლომონ ქურციკაშვილის, ბათუმის რაიონის სოფელ აჭარის ამბულატორიის გამგის თინა კობალაძის, ჭიათურის საავადმყოფოს წამყვანი ქირურგის ლევან ქვარიანის, ქ. თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს ექიმის სერგო ხუნდაძის, ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე მყოფი ჩვენი რესპუბლიკის ექიმების ალექსანდრე მარსაგიშვილის, ამირან შუბლაძის და მრავალი სხვა გამოცდილი ექიმის სახელებს.

განუხრელად იზრდება სამედიცინო მუშაკთა კადრები. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ყოველწლიურად მრავალ ექიმს უშვებს, ხოლო სამედიცინო და საფერშლო სკოლები ქვეყანას საშუალო სამედიცინო პერსონალის კადრებს აძლევენ. მედიცინის მუშაკთა შორის საყოველთაო ყურადღებით სარგებლობენ დამსახურებული ფერშლები რევაზ ხუციშვილი (გარდაბანი), დარეჯან გიორგობიანი (თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი), ვასილ გაბარაევი (ლენინგორი) და სხვ.

რესპუბლიკის კლინიკები და საავადმყოფოები უზრუნველყოფილი არიან აუცილებელი სამკურნალო პრეპარატებით, კაბინეტებით და მედიკამენტებით. მშრომელთა მკურნალობა წარმოებს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების სრულყოფილი მეთოდებით.

საქართველოში მშრომელთა სამედიცინო მომსახურება განუხრელად უმჯობესდება და სრულყოფილი ხდება. მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ჩვენს ქვეყანაში თვითეული მოქალაქე სარგებლობს უფასო სამკურნალო დახმარებით.

მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების პირობებშია შესაძლებელი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ასეთი განვითარება და ასეთი შესანიშნავი მიღწევების მოპოვება. კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში მშრომელი ხალხისათვის მედიცინა ხელმიუწვდომელია. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, ესპანეთში, ბელგიაში, იტალიასა და სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ყოველწლიურად მატულობს მოსახლეობის სიკვდილიანობა. ინდოეთში, ირანში, ავღანეთში, თურქეთსა და აღმოსავლეთის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ეპიდემიურ ავადმყოფობას ყოველწლიურად მილიონობით ადამიანის სიკვდილი მოსდევს.

საქართველოს მშრომელები კანონიერად ამაყობენ ჯანმრთელობის დაცვის დარგში მოპოვებული წარმატებებით. ამავე დროს ისინი სამართლიანად მიუთითებენ მთელ რიგ სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. კომუნიზმის მშენებელი ადამიანები უფლებამოსილი არიან სამკურნალო დაწესებულებებს მოსთხოვონ, რათა ისინი უფრო უკეთესად მოემსახურონ პაციენტებს, მტკიცედ დაიცვან ექიმის მიერ მათი მიღების განრიგი, დიდხანს ლოდინით არ დააკარგვინონ ძვირფასი დრო. ფაქტები ადასტურებენ, რომ როგორც თბილისის, ისე ქუთაისის, რუსთავისა და სხვა ქალაქის ზოგიერთ კლინიკაში ავადმყოფებს უძნელდებათ ექიმთან მოხვედრა. კარდიოლოგიის ინსტიტუტში სამკურნალოდ მისულ პაციენტებს ხშირად მეტად დიდხანს აცდევინებენ და ზოგჯერ უშედეგოდ უშვებენ. კიროვის პრაქტიკით გატაცებული ზოგიერთი მკურნალი, ნაცვლად იმისა, რომ ექ გაუწიოს ავადმყოფს მომსახურება, ბინაზე იბარებს და პაციენტს უზღუდავს უფასო მკურნალობის მიღების უფლებას. დედაქალაქის ზოგიერთ სხვა კლინიკასა და საავადმყოფოში მეტნაკლებად ხდება ასეთი ფაქტები.

მშრომელთა სამედიცინო მომსახურებას უსულგულოდ და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საგარეჯოს რაიონში. კერძოდ, აღმაშფოთებელი ფაქტებია მოსახლეობის სამშობიარო დახმარების საქმეში. რაიონის მეან-გინეკოლოგი ა. ბუაჩიძე არ ახორციელებს საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს სამშობიარო დახმარების საქმისადმი, არ ზრუნავს ექიმთა და ექიმის თანაშემწეთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მეანობის დარგში. ავადმყოფისადმი გულგრილობა და საბჭოთა ექიმისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა საგარეჯოს რაიონული საავადმყოფოს ექიმმა მარიამ ჭურხულმა, რომელიც არ წავიდა მშობიარის დასახმარებლად, არ შეამოწმა მისი მდგომარეობა. ეს იმას მოწმობს, რომ საგარეჯოს რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება და მისი გამგე ამხ. ჯაბადარი ნაკლებად არიან დაინტერესებული მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებით.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ მუშაობაში აგრეთვე კაჭრეთის, ზუგდიდის, ხობის, ონის, ახალქალაქის, დმანისის, ვანისა და ზემო სვანეთის რაიონების სამკურნალო დაწესებულებებს.

ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები ნაკლებ ინიციატივას იჩენენ სამკურნალო დაწესებულებებში მუშაობის მაღალი კულტურის დანერგვის საქმეში. მთელ რიგ რაიონებში საავადმყოფოები მოთავსებულია ვიწრო და შეუფერებელ შენობებში. არ სრულდება საავადმყოფოების მშენებლობისა და რემონტის გეგმები. სამკურნალო დაწესებულებათა კეთილმოსაწყობად სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული სახსრები მთლიანად არ არის გამოყენებული.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ სამკურნალო დაწესებულებებს და არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას. მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები თავის მხრივ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ჯანმრთელობის დაცვის რაიონული განყოფილებების, საავადმყოფოების, სამედიცინო პუნქტების მუშაობას, სუსტად ეხმარებიან მათ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაში.

დიდი და საპატიო ამოცანა აკისრიათ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს, ყველა სამედიცინო მუშაკს. ისინი მოწოდებული არიან ფხიზლად იდგნენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე. თვითეული კლინიკა, საავადმყოფო, ყოველი სოფლის სამედიცინო პუნქტი მოვალეა კულტურულად მოემსახუროს მშრომელებს. სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობაში ნაკლოვანებანი შეუწყნარებელია. მათ უნდა ვებრძოლოთ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცადი იარაღით.

სამედიცინო დაწესებულებებისადმი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ ყურადღებისა და დახმარების გაძლიერებით ჩვენი რესპუბლიკის სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები პირნათლად შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ საპატიო ამოცანებს.

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი ყირგიზულ ენაზე

ფრუნზე, 18 მარტი (საკ.ინ.). ყირგიზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ყირგიზულ ენაზე ცალკეულ გამოცემებად გამოუშვა ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ და „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) XIV ყრილობას“.

თარგმანი რუსული გამოცემიდან განახორციელა ყირგიზეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ყირგიზეთის ფილიალმა.

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

თბილისელი დაზგათმშენებლებისა და ერევნელი მანქანათმშენებლების შეჯიბრება

ამ რამდენიმე დღის წინათ კიროველ დაზგათმშენებლებთან სტუმრად იყვნენ ერევნის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივის წარმომადგენლები. ისინი ჩამოვიდნენ სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგების შესაჯამებლად და ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად. ორივე ქარხნის კოლექტივებმა შარშან გადაჭარბებით გაანაღდეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

დაზგათმშენებლებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, გააცნეს საწარმოო პროცესების ორგანიზაცია და შრომის თავიანთი მოწინავე მეთოდები.

ერევნელი სტუმრების ჩამოსვლასთან დაკავშირებით საქარხნო კლუბში შედგა პარტიული და სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გოგელიძემ.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ერევნელ მანქანათმშენებელთა დელეგაციის წევრმა ხ. ნერსესიანმა. მან დაზგათმშენებლებს გააცნო ერევნელი მეგობრების წერილი და განაცხადა, რომ ერევნის ელექტრომანქანათმშენებელი და თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნების კოლექტივებს შორის შარშან დაწყებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო ორი მოძმე რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, ამ ქარხნებს შორის მჭიდრო საწარმოო ურთიერთობის დამყარებას, მათს დაწინაურებას.

— ამ შეჯიბრების შედეგად, — თქვა ამხ. ნერსესიანმა, — ჩვენმა კოლექტივმა ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეასრულა კომუნიზმის დიად მშენებლობათა ყველა დაკვეთა. საჭიროა წელსაც განვაგრძოთ შარშან დაწყებული შეჯიბრება, ეს ხელს შეუწყობს ორივე ქარხნის კოლექტივების შემდგომ საწარმოო აღმავლობას, მიმდინარე წლის საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებას.

სიტყვებით გამოვიდნენ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მოწინავე ზეინკალი ი. არტემოვი, საქარხნო კომკავშირული კომიტეტის მდივანი რ. გოგოლაძე, სამჭედლო საამქროს უფროსი ლ. ნადიროვი და ინჟინერ-კონსტრუქტორი გ. ხოჭოლავა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამხ. ნერსესიანის წინადადებას და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

კიროველმა დაზგათმშენებლებმა გადაწყვიტეს კვლავ ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში ერევნელ მანქანათმშენებლებთან და იკისრეს 21 დეკემბრისათვის შეასრულონ საერთო პროდუქციისა და დაზგების გამოშვების 1952 წლის გეგმა, კომუნიზმის დიად მშენებლობებისათვის განკუთვნილი ყველა დაზგა მშენებლებს გაუგზავნონ ვადაზე 1,5-2 თვით ადრე.

მეჯი და მაღალხარისხოვანი ლითონისათვის

რამდენიმე წელიწადია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივს ეჯიბრება. სოციალისტური შეჯიბრების დროშით ორი მოძმე რესპუბლიკის ქარხნები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ.

მიმდინარე წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა კვლავ განაახლა შეჯიბრება ზაპოროჟიელ მეტალურგებთან. ამ მიზნით ზესტაფონიდან მივლინებული იყო ფეროშენადნობთა ქარხნის დელეგაცია, რომელმაც ზაპოროჟიეში ორ კვირამდე დაყო. დელეგაცია დაწვრილებით გაეცნო ზაპოროჟიელ მეტალურგთა მუშაობის გამოცდილებას, ესაუბრა წარმოების ხელმძღვანელებს და ცალკეულ სტახანოველებს, გაუზიარა მათ ზესტაფონელ მეტალურგთა გამოცდილება და გააფორმა 1952 წლის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

დელეგაცია ზაპოროჟიედან ამ დღეებში დაბრუნდა. დელეგაციის წევრმა, სადნობი საამქროს მეოთხე ღუმელის ბრიგადირმა ამხ. ს. ფერაძემ განაცხადა:

—ზაპოროჟიელ მეტალურგთა მუშაობის გაცნობამ ბევრი რამ ახალი შემძინა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზაპოროჟიელ მეტალურგთა მუშაობის მაღალი კულტურა, საამქროებში არსებული სისუფთავე და წესრიგი. მე პირადად შევხვდი და ვესაუბრე ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს მოწინავე ბრიგადირს სტალინური პრემიის ლაურეატს ამხ. მ. კრასნოკუტსკის. მასთან ჩვენი ბრიგადის სახელით გავაფორმე სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, რომლითაც ორივე ბრიგადამ გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

ამჟამად ზესტაფონელი მეტალურგები ფართოდ ანაღებენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას ზაპოროჟიელებთან ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიზნით. ისინი გადაჭარბებით ანაღდებენ სადღეღამისო დავალებს. (საკ. კორ.).

ლითონისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). ცენტრალურ გამაუხვებელ ფაბრიკაში გაიმართა ტექნიკური კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ლითონის ხმომჭირნეობით ხარჯვის საკითხს. ამ თემაზე მოხსენება გააკეთა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ი. კაკაბაძემ, ხოლო თანამოხსენება — სახელოსნოს გამგემ, ინჟინერმა შ. მოდებაძემ.

ტექნიკურ კონფერენციაზე აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ლითონის ეკონომიურად ხარჯვას სახალხო მეურნეობისათვის. ფაბრიკამ ერთი წლის განმავლობაში ათობით ტონა ლითონი დაზოგა. კარგად იმუშავეს გ. ცუცქირიძისა და ბ. ხარშალაძის ცვლებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლაში.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი შ. რიჟამაძე, ინჟინრები გ. იაშვილი და ბ. მოსაშვილი, ოსტატი ვ. ხიხაძე, ზეინკალი ი. გოგოლაძე, ფაბრიკის დირექტორი ა. მოდებაძე.

ამას წინათ დიმიტროვის სახელობის მაღაროშიც კომკავშირული ორგანიზაციის თაოსნობით მოეწყო ტექნიკური კონფერენცია ელექტროენერგიის ეკონომიისათვის ბრძოლის საკითხზე.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმო

პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლაში შარშან საუკეთესო შედეგები მოიპოვა თბილისის № 3 ლუდის ქარხნის კოლექტივმა. მესამე კვარტალის შედეგებით ქარხანას მიეკუთვნა „სსრ კავშირის კვების მრეწველობის საუკეთესო ხარისხის საწარმოს“ წოდება და გადაეცა საპატიო სიგელი.

ამ დღეებში ქარხანაში მიიღეს ცნობა, რომ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მეოთხე კვარტალის შედეგებით ქარხანას კვლავ დაუტოვეს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის საწარმოს წოდება.

მაღალი ჯილდოს პასუხად ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულების, საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრა და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის ლუდის ქარხნები და ბაქოს ლუდის ქარხანა.

მილიონერი კოლმეურნეობები და ბრიგადები

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). შარშან კოლმეურნეობებში შემოსავალმა 8.529.466 მანეთით გადააჭარბა 1950 წლის შემოსავალს. დიდი ხანია მილიონერი გახდა რაიონის ყველა 27 კოლმეურნეობა, ამასთან ზოგიერთი მათგანის შემოსავალი 5-8 მილიონ მანეთს შეადგენს.

ახლა არიან ისეთი ბრიგადები, რომელთა შემოსავალი მილიონ მანეთს აღემატება. სოფელ ლესის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც გ. სარჯველაძე ხელმძღვანელობს, შარშან დიდი გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა და 1.048.000 მანეთი შემოსავალი მიიღო. 1.043.678 მანეთს მიაღწია მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადის შემოსავალმა, რომელსაც კომუნისტი თ. ჩხაიძე ხელმძღვანელობს.

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის უბნის უფროსი, წარმოების ნოვატორი პაპუმ ნანიკაშვილი

უბანი მუშაობს ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით

★

პ. ნანიკაშვილი

★

ერთ წელზე მეტია, რაც ჩვენი უბანი ქვანახშირის სქელი ფენების დამუშავებას ყველაზე მოწინავე და რენტაბელური მეთოდით — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით აწარმოებს. გასულ წელს უბნის კოლექტივმა, რომელიც ახალი მეთოდით მუშაობს, 77.639 ტონა ქვანახშირი ამოიღო, ხოლო ამავე დროს სამთო გამონამუშევრებში 43 ათასი კუბმეტრი სავსები მასალა ჩაუშვა.

ქვანახშირის სქელ ფენებში ახლებურად მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა განგვეხორციელებინა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, დაგვენერგა მოწინავე სამთო ტექნიკა. თუ წინათ ქვანახშირის ლავების სიგრძე 10 მეტრს არ აღემატებოდა, ამჟამად ის 65 მეტრამდე გავადიდეთ, რითაც ლავის წარმადობა დღეღამეში 150-დან 300 ტონამდე გაიზარდა. ამას გარდა შევიმუშავეთ ლავის ორივე მხრიდან გამომუშავების წესი. ამით ჩვენ ერთიორად გავადიდეთ მოქმედი სანგრევის ხაზი და მივაღწიეთ ლავის გამომუშავებისათვის დაწესებული დროის ორჯერ და უფრო მეტად შემცირებას.

სამთო მექანიზმების — მომხვეტი ტრანსპორტიორისა და ელექტრობურღის წარმოებაში ფართოდ დანერგვით ქვანახშირის მონგრევისა და გამოზიდვის პროცესების მთლიანი მექანიზაცია განვახორციელეთ. ამან მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება, იოლი გახადა მნგრეველისა და მტვირთავის შრომა.

წინათ ჰიდრავლიკური ვსების მეთოდით ქვანახშირის ფენების დამუშავების ტექნოლოგია ითვალისწინებდა სხვადასხვა საწარმოო პროცესის ერთგვარ თანმიმდევრულ რიგს — ლავის განსაზღვრულ სიგრძეზე გამომუშავებას, ჭერის გამაგრებას, სანგრევის მოქმედ ხაზთან მიახლოების მიზნით მომხვეტი ტრანსპორტიორის გადაადგილებას, ზღუდარის აგებას და ბოლოს სავსები მასალით სამთო გამონამუშევრის ამოვსებას. ჩამოთვლილი საწარმოო პროცესებიდან შედარებით რთულია გამომუშავებული ლავის მთელ სიგრძეზე ზღუდარის აგება. ეს სამუშაო სამი-ოთხი დღის დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. დროის ამ პერიოდში საჭირო ხდება გასავსებად გამზადებული გამომუშავებული ლავის შენახვა, რაც მოითხოვს დამატებით გამაგრებას, იწვევს სამაგრი მასალის გადახარჯვას და ზედმეტ შრომას.

უბნის სტახანოველი მებეგის კომუნისტ კ. კორძაძის წინადადებით შევიმუშავეთ და პრაქტიკაში დავნერგეთ **ლავის გამომუშავებისა და ხელოვნური ზღუდარის აგების ერთდროულად წარმოების წესი,** რაც საუკეთესო შედეგს გვაძლევს.

წარმოებაში ჰიდრავლიკური ვსების მეთოდისა და ახალი ტექნიკის დანერგვამ შესაძლებელი გახადა გადავსულიყავით შრომის ორგანიზაციის ისეთ მაღალ ფორმაზე, როგორიც არის ციკლური გრაფიკით მუშაობა. გასული წლის უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში ციკლური გრაფიკით მუშაობის შედეგები ცხადყოფენ, რომ ჩვენს უბანში ქვანახშირის ამოღება ამავე წლის წინა თვეებთან შედარებით 40 პროცენტით გაიზარდა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, ხოლო თვითეული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 3 მანეთითა და 88 კაპიკით შემცირდა. გარდა ამისა, შემცირდა სამთო მექანიზმების მოცდენისა და ავარიების შემთხვევა.

მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში უბნის კოლექტივმა დიდი მუშაობა გასწია მიწისქვეშა სამუშაოთა უკეთესად მოწყობისა და საწარმოო ციკლის შემცირებისათვის. კომპლექსური ბრიგადები დავაკომპლექტეთ მაღალკვალიფიციური კადრებით, წესრიგზე მოვიყვანეთ მექანიზმები, მოვაწყეთ ქვანახშირის გამტარი და სამაგრი მასალის ჩასაშვები ახალი შურო. ამ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებამ უზრუნველყო უბნის წარმატება. ქვანახშირის ამოღების თებერვლის გეგმა დიდი გადაჭარბებით არის განაღდებული. იზრდება სტახანოველ მეშახტეთა რიცხვი. მნგრეველ-მებეგეები შ. ბანძელაძე, გ. ცირეკიძე, დ. ტრუფანოვი და სხვები სისტემატურად ერთნახევარჯერ და უფრო მეტად აჭარბებენ დღიურ დავალებებს.

ჰიდრავლიკური ვსების მეთოდისა და ციკლური გრაფიკის დანერგვის საქმეში ჩვენი უბნის კოლექტივის მიერ მიღწეული წარმატებანი მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ამჟამად მოწინავე მეშახტეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემოქმედებითი აზრი მიმართულია იქითკენ, რომ მთელ რიგ ტექნიკურ სიახლეთა განხორციელებით შემდგომ გადიდდეს ქვანახშირის ამოღება.

უბნის კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს ტყვარჩელელ და მოძმე უკრაინის მეშახტეებთან გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავდადებით იბრძვის **1952 წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, იმისათვის, რომ მიმდინარე წელს ქვეყანას მისცეს სულ ცოტა 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.**

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

გავაძლიერეთ ხელმძღვანელობა საბჭოთა აპარატის მუშაობისადმი

განვლილ პერიოდში, — თქვა თავის საანგარიშო მოხსენებაში მეშვიდე რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე რაიკომის მდივანმა ამხ. დ. ჯიბლაძემ, — მნიშვნელოვნად გაიზარდა ბერიას რაიონის პარტიული ორგანიზაციები. წელს პარტიის რიგებში მიღებულია მეცნიერებისა და ხელოვნების ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორიც არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები ქ. ლომთათიძე და ქს. სიხარულიძე, ახალგაზრდა ნიჭიერი კომპოზიტორები სტალინური პრემიის ლაურეატები ო. თაქთაქიშვილი, გ. თორაძე, კონსერვატორიის პროფესორი დ. შოუკაშვილი და სხვ. პარტიის რიგების ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანიც გვაქვს. საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა 134 პირველადი პარტიული ორგანიზაცია. სახელმწიფო კონსერვატორიის, მილიციის მე-17 განყოფილების პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად არღვევდნენ პარტიაში მიღების წესს. ცუდად მუშაობენ პარტიის წევრობის კანდიდატებთან შრომის სასახლის, საბინაო სამმართველოს სარემონტო კანტორისა და სხვა ორგანიზაციები. ხოლო „თბილისმშენისა“ და კავშირგაბმულობის სარწმუნებულის პარტიულ ორგანიზაციებში სრულიად ჩაშლილი იყო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წელი რაიონში ორგანიზებულად დაიწყო. რაიონის კომუნისტთა ძალიან დიდი რაოდენობა (5.586 კომუნისტი) დამოუკიდებლად იმეორებს თეორიული ცოდნის დონეს. ძლიერ ცუდად მუშაობს კომუნისტთა თვითგანათლებისათვის კავშირგაბმულობის სარწმუნებულის პარტიული ორგანიზაცია. სარწმუნებულის ხელმძღვანელი მუშაკები გ. ქრისტესაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ა. მაკალათია პარტიული განათლების არც ერთ რგოლში არ არიან ჩაბმული. სარწმუნებულოში ვერც ერთი კომუნისტი ვერ ასრულებს ინდივიდუალური მუშაობის გეგმას. ანალოგიური მდგომარეობაა სამხატვრო აკადემიის, იუსტიციის სამინისტროს, ცეკავშირისა და სხვა პარტიულ ორგანიზაციებში.

ამხ. ჯიბლაძე ვრცლად შეჩერდა რაიონის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვან მხარეებზე და აღნიშნა: მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, რის შედეგადაც სუსტად იზრდება კომკავშირის რიგები, მთელ რიგ ორგანიზაციებში სათანადო ყურადღება არ ექცევა კომკავშირული კრებების მომზადებას-ჩატარებას, მოუგვარებელია კომკავშირული მეურნეობა, ჩაშლილია კომკავშირული განათლების საქმე.

დიდია პარტიული ორგანიზაციების როლი საბჭოთა აპარატის მუშაობის გაჯანსაღების საქმეში. სამინისტროების, დაწესებულებების პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ საბჭოთა აპარატის მუშაკების თეორიული დონის ამაღლებისათვის, ბიუროკრატიზმისა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის სხვა ნაშთების აღმოსაფხვრელად. მართალია, ამ მხრივ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები დამაკმაყოფილებლად მუშაობენ, მაგრამ ნაკლოვანებანიც ბევრია. თბილისის საბჭოს აღმასკომის არქიტექტურის განყოფილება, სოციალური უზრუნველყოფის, კომუნალური მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების პარტიული ორგანიზაციები იშვიათად იხილავენ აპარატის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მომხსენებელი შეეხო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილ კომუნიზმის დიად მშენებლობათა ხელშემწყობი კომიტეტის მუშაობის საკითხებს, გააკრიტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრი, მოზარდ მაყურებელთა და ლანდებისა და თოჯინების თეატრი, რომლებიც სარეპერტუარო გეგმებს ვერ ასრულებენ.

ამხ. ჯიბლაძემ ილაპარაკა მწერალთა კავშირის, რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს, განათლების განყოფილების მუშაობაზე. გააკრიტიკა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებანი სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში.

მომხსენებელმა აღნიშნა პარტიის რაიკომის ბიუროს მუშაობის ნაკლოვანებები. რაიკომმა, — თქვა მან, — პარტიული ორგანიზაციების დასახმარებლად ვერ გამოიყენა რაიონის აქტივი. რაიკომი ცუდად მუშაობდა რეზერვთან. ამითაც აიხსნება ის, რომ დაუკომპლექტებელია პარტიის რაიკომის აპარატი, ხოლო მეცნიერებათა აკადემიას წელიწადია პარტიბიუროს მდივანი არა ჰყავს.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანმა ი. ნონეშვილმა გააკრიტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, რომელიც მსმენელთა მხოლოდ რიცხვის ზრდით არის დაინტერესებული. მაგრამ ამხ. ნონეშვილს არსებითად არაფერი უთქვამს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებებზე.

პარტიის რაიკომის ქებას მიუძღვნა თავისი სიტყვა ოპერისა და ბალეტის თეატრის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ქუთათელაძემ. მან არაფერი თქვა სარეპერტუარო გეგმის შესრულებაში თეატრის ჩამორჩენის მიზეზებზე.

რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების მუშაობა გააკრიტიკა განათლების სამინისტროს პარტბიუროს მდივანმა ვ. ჩინჩალაძემ. განყოფილების მუშაკები,—თქვა მან, — ზოგჯერ პროპაგანდისტებად გზავნიან დაბალი პოლიტიკური განათლების მქონე პირებს.

თანამედროვე მაყურებლის გაზრდილი მოთხოვნილების შესაფერი, სრულყოფილი პიესის შექმნის აუცილებლობაზე გაამახვილა დელეგატების ყურადღება რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ა. ვასაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ე. ლებანიძემ, ე. თაბუკაშვილმა, ა. ვადაკორიამ, ნ. გიორგობიანმა, კ. სოხაძემ, ა. მელაძემ, ა. ყარყარაშვილმა და სხვებმა.

კონფერენციამ აირჩია რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე თბილისის XXI საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

* * *

შედგა რაიკომის პლენუმი, რომელმაც პარტიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დ. ჯიბლაძე, მეორე მდივნად — ამხ. გ. გელაშვილი, მდივნად — ამხ. თამარ ცხვედიანი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილმა, ვ. გოგუამ, ვ. ცხოვრებაშვილმა, ზ. კეცხოველმა, მ. ლელაშვილმა, არმიის გენერალმა ა. ანტონოვმა, გ. ჟორჟიკაშვილმა, გ. ზედგინიძემ, ე. ჩერქეზიამ, გ. ჯიბლაძემ და სხვებმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის პლენუმი

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც კოლმეურნეობებისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და ანტისანელმწიფოებრივ მოქმედებათა წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღებებისათვის სამეურნეოდან მოხსნა და ბიუროს შემადგენლობიდან გამოიყვანა რაიკომის პირველი მდივანი დ. ჯანჯღავა, ხოლო ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებისათვის, გამფლანგველებისა და სპეკულანტების მფარველობისათვის სამეურნეოდან მოხსნა და რაიკომის შემადგენლობიდან გარიცხა რაიკომის მეორე მდივანი ვ. ბეჭვაია.

პლენუმმა რაიკომის შემადგენლობიდან გამოიყვანა რაიაღმასკომის აღფილი თავმჯდომარე ბ. აბაკელია.

საქართველოს კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ე. ჯვებენავა, მეორე მდივნად — ამხ. დ. გახოკიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ს. საყვარელიძე.

იბრძვიან ხორბლის მოსავლიანობის გაზრდისათვის

ფოთელწყაროს. (სპეც. კორ.). საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფისათვის კოლმეურნეები ნაყოფიერად მუშაობენ. შარშან შემოდგომაზე გეგმით გათვალისწინებული 32.700 ჰექტარის ნაცვლად შემოდგომის ხორბალი დათესეს 36.739 ჰექტარზე, ხოლო ქერი—1.070 ჰექტარზე.

ნათესი ფართობის გადიდებასთან ერთად ხორბლის მოსავლიანობის გასადიდებლად წითელწყაროელი კოლმეურნეები ფართოდ იყენებენ მინერალურ სასუქებს. 20 ათასზე მეტ ჰექტარ ყანაში უკვე შეტანილია მინერალური სასუქი. ნაყოფიერად მიმდინარეობს ჯეჯილების გამარგვლა-დაფარცხვა. სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში წინა წელთან შედარებით შემოდგომის ნათესი ფართობი გაადიდეს 540 ჰექტარით. ახლა აქ 3.140 ჰექტარი შემოდგომის ნათესი აქვთ. წელს კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მთელი ნათესი გამოკვებონ მინერალური სასუქით. ახლა ამ ღონისძიებების განსახორციელებლად დიდი მუშაობაა გაჩაღებული, 2.942 ჰექტარ ჯეჯილში უკვე შეიტანეს სასუქი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ე. რობიტაშვილის ბრიგადა, რომელსაც 535 ჰექტარი შემოდგომის ხორბალი აქვს დათესილი. ჯეჯილში დროზე შეაქვთ დამატებითი გამოკვებისათვის მინერალური სასუქი, დაიწყეს მარგვლა და ფარცხვა. ბრიგადის წევრები თ. იაკობაშვილი, ლ. თეთრაძე, ქ. ლაპიაშვილი და სხვები ჯეჯილების მარგვლის ყოველდღიურ დავალებას 150-180 პროცენტით ანაღდებენ. მოწინავე ბრიგადირი ე. რობიტაშვილი წელს იბრძვის იმისათვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 22 ცენტნერი ხორბალი. ხორბლის მოსავლიანობის გასადიდებლად ნაყოფიერად მუშაობს მესამე ბრიგადა (ხელმძღვანელი დ. ყოჩიაშვილი). ბრიგადისათვის მოსავლელად მიჩენილი ჯეჯილები კარგად არის მოვლილი. 457 ჰექტარ ჯეჯილში უკვე შეტანილია მინერალური სასუქი.

ხორბლის მოსავლიანობის გასადიდებლად კარგად მუშაობენ სოფელ ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. წარმატებით მიმდინარეობს ჯეჯილის დამატებითი გამოკვება მინერალური სასუქით. შეუდგნენ გამარგვლასა და ფარცხვას. კოლმეურნეებს გადაწყვეტილი აქვთ წელს შემოდგომის ნათესი მთლიანად გამოკვებონ მინერალური სასუქით და ხორბლის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე აიყვანონ 21 ცენტნერამდე.

მინერალური სასუქები მეჩაიე კოლმეურნეობებს

მახარაძე. (საკ. კორ.). მეჩაიე კოლმეურნეობები ყოველწლიურად ათასობით ტონა სხვადასხვა სახის მინერალურ სასუქებს იღებენ. ეს დიდად უწყობს ხელს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებას. მარტო გასულ წელს კოლმეურნეობებმა 9.812 ტონა სხვადასხვა სახის მინერალური სასუქები მიიღეს.

წელს ნავარაუდევია 10.000 ტონაზე მეტი მინერალური სასუქების მიღება. უკვე შემოზიდულია 6.140 ტონა.

სამგრესტის მუშაკები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში

მეხილეობისა და მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების საქმეში საქართველოს საბჭოთა მეურნეობები ყოველწლიურად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. სამტრესტმა ყურძნის მოსავლის 1951 წლის გეგმა 105,9 პროცენტით შეასრულა, ხილისა—130,97, ყურძნის დამზადებისა—115,3 პროცენტით. გადაჭარბებით არის განაღდებული ღვინის, არყის, კონიაკისა და ყურძნის წვენის გამოშვების გეგმები. ამ სისტემაში შემავალმა საწარმოებმა სამშობლოს 25.683.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება მისცეს.

კარგი მუშაობით თავი ისახელეს ხირსის, ყულარის, დიღმის, მუკუზნის, ყვარლის, ვარიანის და მთელმა რიგმა სხვა საბჭოთა მეურნეობებმა. გამრავლდნენ უხვი მოსავლის ოსტატები. ხირსის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა ზ. ჭუჭულაშვილმა 5,22 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 126,7 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. მუკუზნის მეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა დ. მინდორაშვილმა—128,18 ცენტნერი, ხოლო ამავე მეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. გეთიაშვილმა—128,48 ცენტნერი.

თავი ისახელეს მეხილეებმაც. მაგალითად, ქიწნისის საბჭოთა მეურნეობაში ვ. ბერიკაშვილმა ხილის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 460 ცენტნერამდე აიყვანა. ასეთი მაგალითი ბევრია.

სამტრესტის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებსაც ვხვდებით. ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში სუსტად ინერგება მიჩურინული აგრობიოლოგიური მიღწევები, მოწინავეთა გამოცდილება, ზუსტად არ ხორციელდება აგროწესები, ვხვდებით სოციალისტური საკუთრებისადმი უდარდელი დამოკიდებულების ფაქტებს.

ამ საკითხებზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში სამტრესტის მიერ ამ დღეებში მოწვეულ რესპუბლიკურ თათბირზე ამავე ტრესტის მთავარმა აგრონომმა ამხ. პ. მახარაშვილმა. თათბირს ესწრებოდნენ საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, უფროსი აგრონომები, მოწინავე ბრიგადირები და მერგოლურები.

კამათში გამოვიდა 18 კაცი, რომლებმაც ილაპარაკეს როგორც მიღწევებზე, ასევე ნაკლოვანებებზე, — [illegible] იკისრეს ახალი ვალდებულებანი.

ხირსის ლ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. დ. შარაშიძემ გააკრიტიკა სამტრესტის ტექმომარაგება, რომელმაც ვერ უზრუნველყო მეურნეობა საჭირო იარაღ-მანქანებით. აგრეთვე აღნიშნა, რომ მეურნეობა უზრუნველყოფილი არ არის სპეციალისტებით (აკლია უბნის 3 აგრონომი). ამხ. შარაშიძემ მეურნეობის კოლექტივის სახელით პირობა დადო, რომ მეურნეობაში წელს ჰექტარზე გეგმის გადამეტებით მოიყვანს სულ მცირე 5 ცენტნერ ყურძენს. ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. მარო გალაშვილმა აღნიშნა მეურნეობაში კადრების სიმცირე და ზოგიერთი სხვა ნაკლი. მუშა-მოსამსახურეთა სახელით მან ვალდებულება იკისრა წელს ჰექტარზე მოიყვანოს 60 ცენტნერზე მეტი ხილი.

თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს გორის რაიონის მეხილეთა და მევენახეთა მიმართვა უხვი მოსავლის მოყვანისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს საქართველოს სსრ შამპანური ღვინოების კომბინატის სისტემის მუშაკები. სამტრესტის მუშაკებმა თავის მხრივ იკისრეს: წელს 236 ჰექტარზე გააშენონ ვაზის ძვირფასი ჯიშები, სომეხრის აღმოსაფხვრელად გამორგონ 200.000 ძირი ვაზი, 50 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 100 ცენტნერი ყურძენი, 200 ჰექტარისაზე — 80 ცენტნერი, 400 ჰექტარისაზე—60 ცენტნერი; 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 200 ცენტნერი ხილი, 100 ჰექტარისაზე — 120 ცენტნერი, 200 ჰექტარისაზე — 80 ცენტნერი, ხოლო დანარჩენი ბაღებისა და ვენახების თვითეულ ჰექტარზე — სულ მცირე გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 600 ტონა ხილი, 500 ტონა ყურძენი, 3 პროცენტით შეამცირონ ყურძნის თვითღირებულება, ხოლო ხილისა 5 პროცენტით.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. კ. ბახტაძე და სამტრესტის მმართველი ამხ. ი. ფეიქრიშვილი.

სასუქები ფუჭდება და ნიავდება

ზესტაფონში არსებობს ტექნიკურ კულტურათა მომარაგების სარაიონთაშორისო საწყობი, რომელიც მინერალური სასუქებით, შესაწამლი მასალებით და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით ამარაგებს ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონებს. გასულ წელს გადაწყდა ეს საწყობი სადგურ არგვეთაში გადაეტანათ.

მალე არგვეთაში გაჩაღდა საწყობის მშენებლობა და უკვე რამდენიმე თვეში იგი წარმატებით დამთავრდა. მაგრამ საწყობის გადატანა არგვეთაში დღემდე არ მოხერხდა იმის გამო, რომ რკინიგზის სამმართველო უყურადღებობას იჩენს ამ საქმისადმი. იმის გამო მიღებული მინერალური სასუქები, იარაღ-მანქანები და მასალები კვლავ ზესტაფონში გროვდება. სასუქები რკინიგზის ხაზის გასწვრივ მინდვრად ყრია, მისი დიდი ნაწილი ფუჭდება და ნიავდება.

საჭიროა სასწრაფოდ იქნას მიღებული ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ს. მუმლაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

უმნიშვნელოვანესი ისტორიული თარიღი

ნახევარი საუკუნის წინათ, 1902 წლის 22 მარტს ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მოეწყო ბათუმის მშრომელთა პირველი გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია. ამ დემონსტრაციამ დიდი გამარეოლუციურებელი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობაზე. ბათუმის პროლეტარიატის გმირული ბრძოლის ამ დიდმნიშვნელოვან ეპიზოდს ფართოდ გამოეხმაურა ლენინური „ისკრა“.

ბათუმის პროლეტარიატის რევოლუციური გამოსვლები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ჰქიდროდ არის დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელთან. ამხანაგმა სტალინმა პირველმა შეიტანა რევოლუციური ბრძოლის ცეცხლი ბათუმის მუშებში, მან პირველმა ასწავლა ბათუმის პროლეტარიატს ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრისაგან განთავისუფლების სწორი, მეცნიერული გზა და საშუალებები.

* * *

50 წლის წინათ ბათუმი საკმაოდ განვითარებულ სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. ამიერკავკასიაში იგი ითვლებოდა მესამე ქალაქად ბაქოსა და თბილისის შემდეგ. ბათუმში უკვე დიდი ხნის გაყვანილი იყო რკინიგზა. ამ დროისათვის ბათუმში არსებობდა ათზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, რომლებშიც 11 ათასამდე კაცი მუშაობდა. მუშები მეტად მძიმე ეკონომიურ პირობებში ცხოვრობდნენ. ქარხნის მეპატრონეთა მხრივ მათს არაადამიანურ ექსპლოატაციას თან ერთვოდა მეფის მთავრობისა და ჟანდარმერიის მხრივ ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა. სამუშაო დღე 14-დან 17 საათამდე აღწევდა. ასეთ ქანცგამწყვეტ მუშაობაში ისინი დღეში იღებდნენ სრულიად უმნიშვნელო თანხას — 60 კაპიკიდან 1 მანეთამდე.

ცხოვრების ასეთი აუტანელი პირობები და პოლიტიკური უუფლებობა მუშებში პროტესტს და აღშფოთებას იწვევდა, მაგრამ მათს საპროტესტო გამოსვლებს შეგნებული, ორგანიზებული ხასიათი არა ჰქონდა.

ჯერ კიდევ 1896 წელს რუსმა სოციალ - დემოკრატებმა ლუზინმა და ფრანჩესკიმ ბათუმის პროლეტარიატის დარაზმვისა და გათვითცნობიერების მიზნით მოაწყეს პატარა სოციალ-დემოკრატიული წრე, რომელიც 1898 წელს განადგურებულ იქნა ჟანდარმერიის მიერ. 1899-1900 წლებში ბათუმში იმყოფებოდნენ კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი — „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის მომხრეები. ისინი „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციებზე იდგნენ და უარყოფდნენ მუშათა კლასის არალეგალური პარტიული ორგანიზაციისა და რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას. ქართველი მენშევიკების ამ მომავალმა ლიდერებმა არავითარი დახმარება არ გაუწიეს თბილისის კომიტეტის მიერ ბათუმში გაგზავნილ წარმომადგენელს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებაში. ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება კი თბილისის კომიტეტს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა.

1901 წლის ნოემბრის დამლევს თბილისის კომიტეტის დავალებით ბათუმში რევოლუციური მუშაობისათვის მიდის ამხანაგი სტალინი.

ამხანაგი სტალინი ბათუმში ჩასვლისთანავე უკავშირდება მოწინავე მუშებს და ერთი თვის დაუღალავი პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობის შედეგად ბათუმის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში აარსებს სოციალ-დემოკრატიულ წრეებს.

1901 წლის 31 დეკემბერს (ძველი სტილით) მოწინავე რევოლუციონერი მუშის ს. ლომჯარიას ბინაზე, კონსპირაციულად, ახალი წლის შეხვედრის სახით შეიკრიბა მთავარ საწარმოთა წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ჩამოყალიბდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია.

„ამხანაგი სტალინი ამ კონფერენციაზე 4-5-ჯერ გამოვიდა ბრწყინვალე სიტყვებით რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ.

კონფერენციამ გამოჰყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ამ ჯგუფმა ფაქტიურად შეასრულა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტის როლი. კომიტეტის არჩევის შემდეგ მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიურად გაჩაღდა“ (ლ. პ. ბერია).

1902 წლის იანვარში ამხანაგმა სტალინმა მოწინავე მუშების დახმარებით ბათუმში პირველად მოაწყო მანთაშევის ქარხნის მუშების გაფიცვა, რაც მუშების გამარჯვებით დამთავრდა. ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნები და აღედგინა სამუშაოდან დათხოვნილი მუშები. ამ გამარჯვებამ გაამხნევა მუშები და ბიძგი მისცა მათს შემდგომ რევოლუციურ ბრძოლას.

1902 წლის თებერვალში როტშილდის ქარხნიდან დათხოვნილ იქნა 389 მუშა იმის გამო, რომ პოლიციამ ეჭვი მიიტანა მათზე, როგორც რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეებზე. ამის გამო 27 თებერვალს როტშილდის ქარხანაში გაფიცვამ იფეთქა.

ამხანაგი სტალინი ამ გაფიცვის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო. იგი პირადად ხელმძღვანელობდა და წარმართავდა საგაფიცვო კომიტეტის მუშაობას, ადგენდა მუშათა მოთხოვნებს ქარხნის ადმინისტრაციისათვის წარსადგენად, წერდა ფურცლებსა და პროკლამაციებს.

საგაფიცვო მოძრაობის ასეთმა ზრდამ, მუშების ორგანიზებულობამ, სიმტკიცემ და შეუპოვრობამ შეაშფოთა ქარხნების ადმინისტრაცია და მეფის ხელისუფლების ორგანოები. საქმის გამოსარკვევად და მღელვარების დასაცხრობად ბათუმში ჩადის ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, მაგრამ მისმა მუქარამ ვერ შეძლო გაფიცვის შეწყვეტა. მაშინ პოლიციამ მიმართა რეპრესიებს. 7 მარტს ღამით დაპატიმრებულ იქნა 32 გაფიცული მუშა. ამის საპასუხოდ ამხანაგმა სტალინმა მეორე დღეს მოაწყო მუშათა მასობრივი მანიფესტაცია. მუშები მოითხოვდნენ ყველა დაპატიმრებული მუშის განთავისუფლებას. პოლიციამ ამჯერად დააპატიმრა თვით მანიფესტანტები, 300-ზე მეტი მუშა. როგორც ჩანდა, პოლიციამ გადაწყვიტა არ დაეთმო მუშებისათვის, მაგრამ არც მუშები იხევდნენ უკან. ბათუმის მშრომელებს ამ ძმიმე დღეებში ხელმძღვანელობდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის დიდი ორგანიზატორი — ამხანაგი სტალინი.

9 მარტს ამხანაგმა სტალინმა მოაწყო როტშილდისა და მანთაშევის ქარხნების, ნავსადგურის, რკინიგზის და სხვა საწარმოთა მუშების გრანდიოზული დემონსტრაცია. ეს იყო ბათუმის მუშების პირველი დიდი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 6 ათასამდე კაცმა.

დემონსტრაცია რევოლუციური სიმღერებით, ლოზუნგებით და წითელი დროშებით გაემართა საეტაპო ყაზარმებისაკენ, სადაც მანიფესტანტები იყვნენ დაპატიმრებულნი. მუშები მოითხოვდნენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. მუშების ამ სამართლიან მოთხოვნას მეფის ხელისუფლებამ ცეცხლით უპასუხა. მოკლულ იქნა 15 კაცი, 54 დაიჭრა. 500-მდე რევოლუციონერი მუშა დააპატიმრეს და ბათუმიდან გადაასახლეს.

ლენინური გაზეთი „ისკრა“ ფართოდ გამოეხმაურა ამ ამბებს. „ისკრაში“ მოთავსებულ იქნა ვრცელი კორესპონდენცია ბათუმის რევოლუციური გამოსვლების შესახებ.

უდიდეს პოლიტიკურ, რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამ დღეებში ამხანაგი სტალინი, წერდა პროკლამაციებსა და ლოზუნგებს, მისი ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ისინი მუშებში, აგზავნიდა გურიასა, იმერეთსა და სამეგრელოში გასავრცელებლად. პროკლამაციებსა და ლოზუნგებში ამხანაგი სტალინი მოუწოდებდა მშრომელებს რევოლუციური ბრძოლისაკენ ცარიზმის დასამხობად.

ბათუმის მუშათა დემონსტრაციაში ამხანაგი სტალინი უშუალოდ მონაწილეობდა და წარმართავდა რევოლუციონერ მუშათა მოქმედებას.

12 მარტს ამხანაგმა სტალინმა მოაწყო მანიფესტაცია 9 მარტის მსხვერპლთა დაკრძალვასთან დაკავშირებით, რომელიც გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. ამ დემონსტრაციაში 5 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა.

ბათუმის ამბებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის გაჩაღებისათვის მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში. განსაკუთრებული გამარეოლუციურებელი გავლენა მოახდინა ამ ამბებმა გურიასა და სამეგრელოზე, და როგორც ამხანაგი ბერია წერს, ერთგვარად მოამზადა ნიადაგი შემდგომი რევოლუციური ბრძოლებისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1905 წელს.

ბათუმში მომხდარი ამბების გამო პოლიცია გააფთრებით დაეძებდა ამხანაგ სტალინს. 5 (18) აპრილს ბათუმის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის სხდომის დროს მოწინავე მუშის დარახველიძის ბინაზე ამხანაგი სტალინი დაპატიმრეს. ბათუმის ციხეში ამხანაგმა სტალინმა ერთ წელზე მეტი დაჰყო. 1903 წლის 19 აპრილს იგი გადაჰყავთ ქუთაისის საპყრობილეში.

საპატიმროში ყოფნის დროს როგორც ქუთაისში, ისე ბათუმში ამხანაგი სტალინი ერთი წუთითაც არ წყვეტს რევოლუციურ მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ცალკე საკანში და განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იყო, ამხანაგი სტალინი მაინც ახერხებს კავშირის დამყარებას როგორც საპყრობილის გარეთ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, ისე თვით საპყრობილეში პოლიტიკური პატიმრების ყველა საკანთან. ეწევა პოლიტიკურ პატიმრებში ლენინურ-ისკრული იდეების პროპაგანდას, ნიღაბს ხდის „მესამე დასის“ უმრავლესობის, გაზეთ „კვალისა“ და ნოე ჟორდანიას ოპორტუნიზმს, ქადაგებს მუშებისა და გლეხების კავშირს და მუშების ხელმძღვანელი როლის აუცილებლობას რევოლუციაში.

1903 წლის მარტში თბილისში ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე ამხანაგ სტალინს დაუსწრებლად ირჩევენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრად. ამხანაგი სტალინი პატიმრობის მიუხედავად წარმართავს და ხელმძღვანელობს კომიტეტის მუშაობას ლენინურ-ისკრული ხაზის გატარებისათვის.

ქუთაისის საპატიმროდან ამხანაგ სტალინს 7 თვის შემდეგ უკანვე აბრუნებენ ბათუმში, საიდანაც 1903 წლის ნოემბრის დამლევს ასახლებენ ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიაში.

„საქართველოსა და ამიერკავკასიის მთელი რევოლუციური მოძრაობა, — წერს ამხანაგი ბერია, — მისი ჩასახვის პირველივე დღეებიდან განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან.

ბათუმის 1901 წლის დამლევისა და 1902 წლის დამდეგის ამბები წარმომადგენენ ამიერკავკასიაში ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და ბრძოლის ერთერთ მკაფიო ეპიზოდს“ („პრავდა“, 1937 წ. 12 იანვარი).

* * *

კაპიტალიზმისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბათუმის მშრომელთა გმირული ბრძოლის ამ ისტორიულ თარიღს, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ამ დიდმნიშვნელოვანი პერიოდის 50 წლისთავს, თავისუფალი, სოციალისტური ბათუმის მშრომელები მთელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად აღნიშნავენ ახალი საწარმოო მიღწევებით, ახალი გამარჯვებებით ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის თავდადებული ბრძოლით.

ე. ბოგოლიუბოვი

ბათუმის რევოლუციის მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი

სტალინური პრემიის ლაურეატები

მოწინავე ქართველ მეცნიერთა გამარჯვება

თანამედროვე მეცნიერებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭავიათ მათემატიკასა და ფიზიკას. შეიძლება ითქვას: მათემატიკისა და ფიზიკის განვითარების დონე ამა თუ იმ ხალხის მეცნიერებაში მაჩვენებელია ამ ხალხის მეცნიერული აზროვნების საერთო წარმატებისა.

თანამედროვე ფიზიკისა და მათემატიკის დარგებში ნამდვილი მეცნიერული კვლევაძიება ჩვენში საბჭოთა პერიოდიდან დაიწყო. ამ სამი ათეული წლის განმავლობაში ქართველმა მათემატიკოსებმა და ფიზიკოსებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ქართველ მეცნიერთათვის სტალინური პრემიების მინიჭება წელს ფიზიკისა და მიახლოებითი მათემატიკური ანალიზის სპეციალობებში მაჩვენებელია საქართველოში ფიზიკის და მათემატიკის დარგში წარმოებული მუშაობის გაღრმავების და გაფართოვებისა.

მათემატიკური კვლევა-ძიება ჩვენში თავიდან მიმდინარეობდა, უმთავრესად, ვარიაციათა აღრიცხვის, გეომეტრიის, მათემატიკური ფიზიკის დარგებში. შემდგომში მუშაობა სხვა ხაზითაც წარიმართა. დიდი გაქანება მიეცა მუშაობას მიახლოებითი ანალიზის დარგშიც, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ დარგის ცნობილი სპეციალისტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი შალვა მიქელაძე. ღირსეული ჯილდო, რომლითაც დაგვირგვინდა მისი აქამდე წარმოებული მეცნიერული მუშაობა, იმის დამადასტურებელია, რომ ამჟამად საფუძვლიან მათემატიკურ კვლევა-ძიებას ჩვენში ამასთანავე მრავალმხრივობაც ახასიათებს.

შ. მიქელაძის მათემატიკური გამოკვლევები მჭიდროდ არის დაკავშირებული ტექნიკის საკითხებთან. მან შექმნა ორიგინალური მეთოდები მიახლოებითი მათემატიკური ანალიზის დარგში, რომელთა საფუძველზე დაამუშავა ახალი ხერხები სამშენებლო მექანიკის სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად. შ. მიქელაძის კვლევა-ძიება მიახლოებითი ანალიზის დარგში ფართო თეორიულ ბაზას ეყრდნობა. მის მიერ შექმნილი მეთოდების სიმარტივე და ზოგადობა ტექნიკის მრავალი ისეთი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა, რომელთა მიმართ ძველი ხერხები უძლური აღმოჩნდნენ.

შ. მიქელაძეს სამოცამდე მეცნიერული შრომა აქვს, მათ შორის რამდენიმე დიდი მონოგრაფია. ამ შრომებმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება მიიღეს.

შ. მიქელაძის კვლევის შედეგებმა თავისი ეფექტურობით მნიშვნელოვნად გადააჭარბეს ზოგიერთი უცხო მეცნიერის მიერ მიღებულ შედეგებს. შეიძლება აღინიშნოს ასეთი ფაქტი: შ. მიქელაძის შრომებით დაინტერესებამ, მათი საფუძვლიანად გაცნობის სურვილმა მისცა ბიძგი ცნობილ ურუგვაელ მკვლევარს ტექნიკის დარგში, პროგრესულ მეცნიერს ხოსე მასერას შეესწავლა რუსული ენა და ამით უფრო ძლიერად და უშუალოდ განეცადა რუსული კულტურის ცხოველმყოფელი ზეგავლენა.

შ. მიქელაძემ მრავალი მათემატიკოსი აღზარდა. მისი ხელმძღვანელობით და მისი პრობლემატიკის გარშემო მუშაობს მეცნიერ მუშაკთა მჭიდრო კოლექტივი, რომელთა შორის ბევრს სერიოზული მიღწევები აქვს.

ქართველ მეცნიერთა უფრო ახალგაზრდა თაობას ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატი ელეფთერ ლუარსაბის-ძე ანდრონიკაშვილი.

ელეფთერ ანდრონიკაშვილმა დაამთავრა ლენინგრადის კალინინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკა-მექანიკის ფაკულტეტი და შემდეგ მუშაობდა მოსკოვის სხვადასხვა საკვლევ ინსტიტუტებში. 1934 წელს იგი მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში დოცენტის თანამდებობაზე. 1935 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1948 წელს—სადოქტორო დისერტაცია. იგი 1948 წლიდან მუშაობს კათედრის გამგედ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1950 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1951 წლიდან ამ. ე. ანდრონიკაშვილი მუშაობს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად.

ე. ანდრონიკაშვილის გამოკვლევები თანამედროვე ფიზიკის მნიშვნელოვან დარგს—დაბალ ტემპერატურათა ფიზიკას ეკუთვნის. მან პირველმა აჩვენა, რომ თხევად ჰელიუმ II-ში არსებობს ორი დამოუკიდებელი სახის მოძრაობა. ე. ანდრონიკაშვილის მიერ ჩატარებული ზედფენადობის მოვლენის გამოკვლევა მტკიცედ არის შესული მეცნიერებაში, როგორც დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა. ეს გამოკვლევები იძლევიან საბჭოთა ფიზიკოსების მიერ განვითარებული კვანტური სითხის თეორიის ექსპერიმენტულ დასაბუთებას.

ე. ანდრონიკაშვილის შრომებმა საბჭოთა გამოჩენილი მეცნიერების მაღალი შეფასება მიიღო. ე. ანდრონიკაშვილის შედეგებს ბევრი მკვლევარი ეყრდნობა თავის შრომებში. ამ შედეგების საფუძველზე ნაჩვენებია ზოგიერთი უცხოელი ავტორის ექსპერიმენტული და თეორიული გამოკვლევების სიყალბე.

სტალინური პრემიის ლაურეატების შრომები წარმოადგენენ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების საუკეთესო მიღწევებს. იმ დროს, როდესაც კაცობრიობის უბოროტესი მტრები, ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტები მეცნიერებას ხალხის განსანადგურებლად და გასაუბედურებლად იყენებენ, — სოციალიზმის ქვეყანაში შექმნილია საუკეთესო პირობები მეცნიერების განვითარებისათვის, მისი ნამდვილი დანიშნულების გამოვლინებისათვის, რაც ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახურში მდგომარეობს.

არ არსებობს იმაზე დიდი პატივი, ვიდრე ტარება ჯილდოსი, რომელზეც აღბეჭდილია თანამედროვეობის ყველაზე დიდი ადამიანისა და მეცნიერის, კაცობრიობის ბედნიერების მედროშის, საყვარელი ბელადის სახე. ეჭვი არ არის მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებული მოწინავე ქართველი მეცნიერები ახალ-ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ მშობლიური მეცნიერების სასახელოდ.

პროფესორი ლ. გოკიელი

სოციალისტური საკუთრების მგზაცებლებს მფარველობენ

ხულოს რაიონის პროკურატურა, სასამართლო და მილიცია სუსტად იბრძვიან გამფლანგველ-მტაცებელთა წინააღმდეგ, ზოგჯერ შეუწყნარებლად აჭიანურებენ დაძნაშავეთა საქმის გამოძიებას და მათს დასჯას. მაგალითად, რამდენიმე წელს გაგრძელდა სოფელ დიდაჭარის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა პირუტყვის ფერმის ყოფილი გამგის ს. ხოზრევანიძის დანაშაულებრივი საქმის გამოძიება.

ასეთივე ბედი ეწია შუახევის სოფლის კოოპერატივის სასადილოს ყოფილი გამგის, კოოპერაციული ქონების გამნიავებლის ბ. ტარიელაძის საქმეს.

1951 წლის 4 მაისიდან ჰიანურდება ხულოს რაიონის სამრეწველო კომბინატის ყოფილი დირექტორის ა. ფუტკარაძისა და სხვათა საქმეები, რომლებიც დამნაშავე არიან 40.983 მანეთის მაღალხარისხოვანი ხე-ტყის მასალის განიავებაში. საქმის გამოძიება 1951 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში დამთავრდა, მაგრამ უხეიროდ გამოძიების გამო ისევ პროკურატურას დაუბრუნდა. საქმე დღემდე გამოძიების პროცესშია და აღმაშფოთებლად ჭიანურდება.

პარტიის რაიკომის მხრივ ზოგიერთი დამნაშავის მიმართ გაუმართლებელი ლმობიერებისა და მფარველობის ფაქტებს მოწმობს ღორჯომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის ხ. ბერიძის დანაშაულებრივი მოქმედების მიჩქმალვა. ხ. ბერიძის ბოროტმოქმედება მხილებული იყო ღორჯომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილი ფერმის გამგის ო. მესხიძის საქმის განხილვისას. დადგენილია, რომ მას მესხიძესთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა 133 სული პირუტყვის მიღების შესახებ ყალბი საბუთის გაცემისათვის. ასეთი აშკარა ბოროტმოქმედებისათვის რაიკომი მხოლოდ საყვედურის გამოცხადებით დაკმაყოფილდა, მაშინ როცა ხ. ბერიძეს საქმის მასალებით საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-განიავებაც უდასტურდება.

საკვირველ ლმობიერებას იჩენენ ხულოში ქურდებისა და ხულიგნების მიმართ. გასული წლის 3 ივლისს ხულოს სასტუმროს ყოფილი გამგე ქ. მესხი და მისი შვილი ისკანდერი დათვრნენ და სცემეს მოქალაქე გ. ტყეშელაშვილს. მილიციის მუშაკებმა ამაზე აქტიც შეადგინეს, მაგრამ საქმე დღემდე უმოქმედოდ დევს ხულოს მილიციაში, ხულიგნები კი დაუსჯელი არიან. ასევე დაუსჯელია ხულიგანი დ. ნათიძე და სხვ.

დაუსრულებლად ჭიანურდება მრავალგზის დამნაშავისა და არაერთხელ სასამართლო პასუხისგებაში მიცემულ შ. აბაშიძის საქმე.

ამ დღეებში დიდი გაფლანგვა გამოვლინდა ხულოს რაიონის სხალთის სასოფლო კოოპერატივში. აქ მოკალათებული იყვნენ ნასამართლევი პირები. მხილებული ნასამართლევი პირებისაგან სავაჭრო ორგანიზაციების გაწმენდის საქმეში შეუწყნარებელი უპასუხისმგებლობა გამოიჩინა თვით აპარკოოპკავშირის გამგეობამ.

პარტიის ხულოს რაიკომი საქმით რომ არ ეხმაურება მშრომელთა სიგნალებს, ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი. ამხ. მ. ვერულიძის წერილში, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ გასული წლის 19 ოქტომბრის ნომერში, მხილებული იყო საკოლმეურნეო და კოოპერაციული ქონების გამფლანგველ-გამნიავებელთა — ს. ხოზრევანიძისა და მ. მიქელაძის საქმის გამოძიების გაჭიანურების ფაქტები. მაგრამ დამნაშავეთა საქმის გამოძიების დაჩქარებისათვის ზომების მიღების ნაცვლად რაიკომის მდივანმა ამხ. ლეკვეიშვილმა მ. ვერულიძე გააფრთხილა, რომ მას თავი დაენებებინა ასეთი წერილების წერისათვის, ხოლო რაიონის პროკურორმა და მისმა თანაშემწემ თ. კიკნაძემ პრესაში მხილებული ფაქტებიდან სათანადო დასკვნები არ გააკეთეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხულოს სასამართლოს ზოგჯერ ლმობიერი განაჩენები გამოაქვს. 1951 წელს სასამართლომ ცხოველდამზადების ხულოს განყოფილების მიმღები პუნქტის ყოფილ გამგეს დ. ბოლქვაძეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და საქონლის ჩაბარებისას გამორჩენის მიზნით წონაში მოტყუებისათვის მხოლოდ ერთი წლით შრომაგასწორებითი მუშაობა მიუსაჯა. სასამართლომ ასევე ლმობიერი განაჩენი გამოუტანა ბრალდებულებს — აბულაძეს, ქამადაძეს, გ. აბაშიძეს და სხვებს.

ხულოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ.

დ. პაიჭაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ზევრის აგურის ქარხანამ მუშაობა უნდა გაარკვიოს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 1951 წლის 4 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის წერილი, რომელშიც მხილებული იყო ქარხნის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. 1947 წლიდან 1952 წლამდე აღნიშნულ საწარმოს ერთხელაც არ შეუსრულებია აგურის გამოშვების გეგმა.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. ზ. კიკნაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი ტევრის აგურის ქარხნის მუშაობის შესახებ და მიიღო ღონისძიებანი მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მიმდინარე წელს აგურის გამოშვების გეგმის შესრულებისათვის.

ქარხნის დირექტორს ამხ. სარალიძეს სუსტი მუშაობისათვის პარტიული სასჯელი დაედო.

სასწრაფო პასუხი ვაგებინოთ ბაქტერიოლოგიური ომის გამჩაღებელს

აგრესორთა შავბნელი ზრახვები ჩაიშუშება

წითელწყაროს. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები მტკიცე პროტესტს აცხადებენ ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ, რომლებმაც ბაქტერიოლოგიური იარაღი გამოიყენეს კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში.

არბოშიკის კოლმეურნეობაში გამართულ მიტინგზე სოციალისტური შრომის გმირმა მ. ალავერდაშვილმა განაცხადა: ამერიკელმა იმპერიალისტებმა საზიზღარი დანაშაული ჩაიდინეს, ისინი კორეისა და ჩინეთის მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივად გაჟლეტის მიზნით ავრცელებენ შავი ჭირის, ტიფისა და ხოლერის მიკრობებით დასნებოვნებულ ბუზებს, კოღოებს და სხვა მწერებს. მოვითხოვთ ბოლო მოეღოს ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებას კორეაში.

ქვემო ქედის კოლმეურნეობის ბრიგადირმა დ. ჭედელაშვილმა თავის სიტყვაში ამერიკელ იმპერიალისტთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ გამართულ მიტინგზე გამოთქვა კოლმეურნეთა ზიზღი და სიძულვილი ამერიკელი იმპერიალისტებისადმი და კოლმეურნეთა სახელით მოითხოვა სასტიკად დაისაჯონ ბაქტერიოლოგიური ომის გამჩაღებლები.

— ამერიკელმა ბარბაროსებმა, — განაცხადა წითელწყაროს ქალთა სკოლის მასწავლებელმა მ. ციციშვილმა,— თავიანთი სამნელი ბოროტმოქმედებით მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის ზიზღი და გულისწყრომა დაიმსახურეს. მათ სურთ ბაქტერიოლოგიური იარაღით დაიმონონ თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხი. მაგრამ სამართლიანობისათვის მებრძოლ მამაც კორეელებს ამით ვერ დააშინებენ. ამერიკელი აგრესორები თავიანთ შავბნელ ზრახვებს ვერ განახორციელებენ, რადგან მშვიდობის ბანაკი უფრო ძლიერია ომის გამჩაღებელთა ბანაკზე.

ამერიკელ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ

თელავი. (საკ. კორ.). კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ამერიკელ აგრესორთა მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებით აღშფოთებული მთელი ქსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანთა პროტესტის ხმას თავიანთ ხმას უერთებენ თელავის რაიონის მშრომელები.

აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში გამართულ მიტინგს 300-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე დაესწრო. სიტყვა წარმოთქვა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა შ. ყარაულაშვილმა.

— ამერიკელი იმპერიალისტები, — თქვა მან,—ყოველგვარ ბინძურ საშუალებებს იყენებენ თავისუფლებისათვის მებრძოლი კორეელი ხალხის წინააღმდეგ. ისინი მშვიდობიანი მოსახლეობის გასაჟლეტად ბაქტერიოლოგიურ იარაღს ხმარობენ. მოვითხოვთ აილაგმოს ამერიკელთა ეს ახალი პროვოკაცია.

—ჩვენ, მშვიდობისმოყვარე ადამიანები, — განაცხადა ინჟინერმა მარგარიტა ხრომოვამ, — აღშფოთებას გამოვთქვამთ ამერიკელი იმპერიალისტების ახალი დანაშაულის გამო. საბჭოთა მთავრობა მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად მილიარდებს ითვალისწინებს, ამერიკელი ბოროტმოქმედები კი უამრავ სახსრებს ხარჯავენ ადამიანთა გასაჟლეტად. ბაქტერიოლოგიური ომის წამომწყებნი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

რაიონის საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, საწარმო-დაწესებულებებში გამართულ მიტინგებზე მოწინავე ადამიანებმა, სოციალისტური შრომის გმირებმა ი. ჩარკვიანმა, ი. ბოლქვაძემ, დ. სავანელმა, ვ. ჭელიძემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა, აგრონომმა სიმონ მახათელაშვილმა თავიანთი გულისწყრომა გამოთქვეს ამერიკელი ავაზაკების მიერ ჩადენილ ახალ დანაშაულებათა გამო.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში მიტინგების მონაწილეებმა სასტიკად დაგმეს ამერიკელ დამპყრობთა საზიზღარი ბოროტმოქმედება, მოითხოვეს ბაქტერიოლოგიური იარაღის დაუყოვნებლივ აკრძალვა და ვალდებულება იკისრეს კიდევ უფრო მატი თავდადებით, მეტი მონდომებით იმუშაონ საბჭოთა ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

აღვკვეთოთ ომის გამჩაღებელთა დანაშაულობანი

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის სელმავლო დეპოში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ოსტატმა გ. მაჩხანელმა.

—ამერიკელ-ინგლისელმა კაციჭამიებმა, — თქვა მან, — რომლებმაც კორეელი და ჩინელი მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლით შეიღებეს ხელები, ახალ ბოროტმოქმედებას მიმართეს: გამოიყენეს ადამიანთა მასობრივად მოსპობის საშუალება—ბაქტერიოლოგიური იარაღი. ჩვენ, ხაშურელი რკინიგზელები, მრისხანე პროტესტს ვაცხადებთ მათი ამ დანაშაულის წინააღმდეგ.

დეპოს ხარატმა ნიკოლოზ გიუაშვილმა განაცხადა: ჩვენს ქვეყანაში მილიარდობით თანხები იხარჯება ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად. ამერიკელი იმპერიალისტები კი უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლის გასადიდებლად ახალ საშუალებებს იგონებენ, ხოლერასა და შავ ჭირს ავრცელებენ. გამოვთქვამთ რა გულისწყრომასა და აღშფოთებას ამერიკელ იმპერიალისტთა ამ ახალი დანაშაულის გამო, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი მშვიდობისმოყვარე კორეელი და ჩინელი ხალხის წინააღმდეგ.

სიტყვები წარმოთქვეს და თავიანთი გულისწყრომა გამოხატეს აგრეთვე მეთანქანე-ინსტრუქტორმა ნიკოლოზ ტყეშელაშვილმა, მეშედელმა გიორგი რევაზიშვილმა, ოსტატმა მიხეილ გურჯიანაშვილმა, ბრიგადირმა ტარიელ მახაჭაშვილმა და სხვებმა.

გერმანელი ხალხის სიამაყე

(ი. ვ. გოეთეს გარდაცვალების 120 წლისთავის გამო)

120 წლის წინათ, 1832 წლის 22 მარტს გარდაიცვალა უდიდესი გერმანელი მწერალი და მოაზროვნე იოჰან ვოლფგანგ გოეთე. გერმანული კლასიკური ლიტერატურის ბუმბერაზის — გოეთეს შემოქმედებაში ნათლად არის ასახული მთელი იმდროინდელი ეპოქის უაღრესად რთული წინააღმდეგობრივი პირობები.

გოეთეს პიროვნებისა და შემოქმედების გარშემო იმთავითვე შეიქმნა ლეგენდა. ხალხის ბედით უაღრესად დაინტერესებულ გენიოსს, რომელმაც, როგორც თვითონ ამბობს, „ხალხსა და ხალხის განათლებას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე“, „მშვიდ ოლიმპიელს“ უწოდებდნენ და ხალხისადმი გულგრილ დამოკიდებულებას სწამებდნენ.

თუ გოეთეს სიცოცხლეში ამჯობინებდნენ არ დაენახათ მისი ნამდვილი სახე, სიკვდილის შემდეგ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულ გაყალბებას შეეცადნენ. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა გოეთეს ლიტერატურული მემკვიდრეობის გაყალბების ისეთი ურცხვი და თავხედური ცდა, როგორიც ახლაა, როცა ისტორიის ფალსიფიკატორები, რეაქციის შავბნელი მოციქულნი, უოლ-სტრიტის ყურმოჭრილი მსახურნი ცდილობენ დიდი გერმანელი მწერლის სახელი თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ.

ომერთის წინააღმდეგ მებრძოლი პრომეთეოსის ავტორს, რომლის უდიდეს დამსახურებას და სიდიადეს ფ. ენგელსი სწორედ იმაში ხედავდა, რომ მან „ხელოვნება რელიგიის არტახებისაგან გაათავისუფლა“, რეაქციონერი „ღრმად რელიგიურად“ ნათლავენ; მატერიალისტ გოეთეს, რომლის ყოველი სტრიქონი რეალური სამყაროს სუნთქვით არის გაჟღენთილი, მისტიკოსად აღიარებენ; სამშობლოს, ხალხისა და თავისუფლების მოტრფიალე „უდიდეს გერმანელს“, რომელმაც თავისი შეხედულება ასე ჩამოაყალიბა: „ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე გულგრილად ვუყურებ თავისუფლების, ხალხის, სამშობლოს დიად იდეებს? არა, ეს იდეები ჩვენგან განუყოფელია, ისინი ჩვენი არსების ნაწილია და არავის შეუძლია მათი მოცილება“, — კოსმოპოლიტს უწოდებენ.

გოეთეს შემოქმედება უაღრესად რთული და მრავალფეროვანია, მასში ეპოქის წინააღმდეგობრივ პირობებთან ერთად სრულად არის ასახული მისი, როგორც მხატვრისა და მოაზროვნის წინააღმდეგობა და არსებული გარემოსადმი ორმაგი დამოკიდებულება. მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა — ფ. ენგელსმა პირველმა გაიღაშქრა გოეთეს ლიტერატურული მემკვიდრეობის გამყალბებელთა წინააღმდეგ და მოგვცა გოეთეს შემოქმედების გენიალური ანალიზი. წინაღმდეგ რეაქციონერ მწერალ კარლ გრიუნისა, რომელიც ამტკიცებდა, თითქოს გოეთეს შემოქმედებას სინამდვილესთან საერთო არაფერი ჰქონდა და თითქოს მისთვის ცხოვრების მოვლენები მხოლოდ გარეშე ობიექტს წარმოადგენდა, ენგელსმა დაამტკიცა გოეთეს მტკიცე კავშირი სინამდვილესთან, ცხადყო მისი ორმაგი დამოკიდებულება ამ სინამდვილისადმი, და „კოლოსალურად დიდი“ გოეთეს სუსტი მხარეები და ფილისტერობა ამ სინამდვილის უბადრუკობით ახსნა.

დიდი პოეტის ურთიერთობა მის თანამედროვე საზოგადოებასთან ფ. ენგელსმა ასე დაახასიათა: „გოეთე თავის შემოქმედებაში ორმაგ დამოკიდებულებას იჩენს თავისი თანამედროვე გერმანული საზოგადოებისადმი. იგი მტრულად არის განწყობილი ამ საზოგადოებისადმი, საზოგადოებას სძაგს იგი და გოეთეც ცდილობს გაექცეს მას, როგორც „იფიგენიაში“ და საერთოდ იტალიური მოგზაურობის პერიოდში. იგი ამბოხებულია ამ საზოგადოების წინააღმდეგ როგორც გოცი, პრომეთეოსი და ფაუსტი, მეფისტოფელის მსგავსად მწარედ დასცინის მას. ანდა, პირიქით იგი მეგობრობს მას, ურიგდება მას, როგორც თავისი „უწყინარი ქსენიების“ უმრავლესობაში და მრავალ პროზულ ნაწარმოებში, ხოტბას ასხამს მას, როგორც „მასკარადში“, იცავს მას შეტევაზე გადმოსული ისტორიული მოძრაობისაგან, განსაკუთრებით ყველა იმ ნაწარმოებში, სადაც იგი საფრანგეთის რევოლუციას ეხება... მასში გამუდმებულად ებრძვიან ერთმანეთს გენიალური პოეტი, რომელსაც ზიზღს უნერგავს მის გარშემო არსებული წრის უბადრუკობა და ფრანკფურტელი პატრიციის ფრთხილი შთამომავალი, ან ვიმარელი საიდუმლო მრჩეველი, რომელიც თავს იძულებულად თვლის დაუზავდეს ამ საზოგადოებას და შეეგუოს მას. ამრიგად, გოეთე ხან კოლოსალურად დიდია, ხანაც ვვრილმანი; იგი ხან უდრეკი, დამციხავი, სამყაროს მოძღვე გენიოსია, ხანაც ფრთხილი, ყველაფრით კმაყოფილი, ვიწრო ფილისტერი. და გოეთე უძლური იყო დაემარცხებინა გერმანული უბადრუკობა. პირიქით, ეს უბადრუკობა ამარცხებს მას. და ამ უბადრუკობის გამარჯვება უდიდეს გერმანელზე საუკეთესოდ ამტკიცებს იმას, რომ „შიგნიდან“ მისი დამარცხება საერთოდ შეუძლებელია“. შემდეგ ენგელსი განაგრძობს — გოეთეს მისი ტემპერამენტი და სულიერი მიმართულება პრაქტიკული ცხოვრებისაკენ უბიძგებდა. ეს პრაქტიკული ცხოვრება კი უბადრუკი იყო და „გოეთე იდგა დილემის წინაშე — მოქცეულიყო ასეთი ცხოვრების შუაგულში, რომელიც მას უნდა სძულებოდა და ამავე დროს მაინც მიჯაჭვული ყოფილიყო მასზე, როგორც ერთადერთზე, რადგან მის გარეშე არ შეეძლო მოქმედება“.

გოეთეს ლიტერატურული მემკვიდრეობის გამყალბებელნი გვერდს უვლიდნენ ყოველივე იმას, რაც გოეთეში ჭეშმარიტად დიდი და გენიალურია. ისინი ყოველნაირად ცდილობენ წინ წამოსწიონ ფილისტერი, წვრილმანი, ობივატელი გოეთე, თავისი დროის უბადრუკობას ხარკს რომ უხდიდა და „ვაიმარის უმნიშვნელო მინისტრის“ გარდაცვალებასთან ერთად რომ მოკვდა.

გოეთეს ლიტერატურული მემკვიდრეობის ნამდვილი დამფასებელი გახდა ახალი თავისუფალი ქვეყნის მშენებელი ხალხი, რომელიც გოეთეში აფასებს მისი შემოქმედების წამყვან და ძირითად მიმართულებას — პროგრესულობას, ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, ოპტიმიზმს, შრომისა და თავისუფლების პათოსს.

წინაღმდეგ გოეთეს გამყალბებელთა მტკიცებისა, პროგრესული ხალხისათვის გოეთე უდიდესი ეროვნული პოეტი და მგზნებარე პატრიოტია, რომელმაც, ოტო გროტევოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, აღზარდა თავისი ხალხი ჰუმანიზმისა და „ამ ქვეყნად უკეთესი მომავლისადმი უსაზღვრო რწმენით“. გოეთეს როლისა და შემოქმედების საუკეთესო შეფასებას წარმოადგენს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის „მანიფესტი“, რომელიც გოეთეს დაბადების 200 წლისთავზე იყო შედგენილი. იქ წერია: „ნაპრალად დაქუცმაცებულ და დაგლეჯილ გერმანიაში გოეთე წარმოადგენდა გერმანელთა სულიერ და ენობრივ ერთიანობას, მან უდიდესი საგანძური შეიტანა გერმანულ ეროვნულ შეგნებაში“. შემთხვევითი როდი იყო, რომ გერმანიის კომუნისტური პარტიის ბელადი ერნსტ ტელმანი ბაუცენის ციხეში დაწერილ წერილში, თავის მგზნებარე რევოლუციურ შეხედულებათა რაკ შეიძლება ზუსტად და სრულად ჩამოყალიბების მიზნით, მრავალგზის მიმართავს გოეთეს და წერილის ბოლო სიტყვებს — „ალს, რომელიც ანათებს ჩვენს გულს და აღავსებს ჩვენს სულს, როგორც ნათელი ლამპარი, მივყავართ ჩვენი ცხოვრების ბრძოლის ველზე. ხასიათით მტკიცენი და ერთგულნი, გამარჯვებაში დარწმუნებული ვართ და მხოლოდ ასეთებს შეგეძლია შევებრძოლოთ ჩვენი ბედი, შევასრულოთ ჩვენი რევოლუციური ვალი იმ დიად ისტორიულ მისიაში, რომელიც ჩვენ გვაქვს დაკისრებული, და მივაღწიოთ ნამდვილი სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას“ —ფაუსტის უკანასკნელი მონოლოგის შემდეგი ადგილით ამთავრებს: „დიახ, ამ აზრით ვარ მთლად შეპყრობილი! იგი ადამიანთა სიბრძნის უკანასკნელი სიტყვაა! თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი მხოლოდ ის არის, ვინც მას ყოველდღე ბრძოლით მოიპოვებს“.

* * *

ავტორი „გოც ფონ ბერლიხინგენისა“, რომელსაც ენგელსმა „რევოლუციონერის დრამატული ხოტბა“ უწოდა, უწყვეტი ძაფებით იყო ხალხთან დაკავშირებული. ახალი გერმანული ენის დიდი რეფორმატორი, ხალხური სალიტერატურო ენის შემქმნელი გოეთე ხალხური პოეზიის საუკეთესო მცოდნე იყო და უხვად იყენებდა მის მარგალიტებს თავის შემოქმედებაში. გოეთეს „სამაისო სიმღერა“, რომლიდანაც მაისას მზის სხივებით მოჩქეფს სიცოცხლე, გულს სინათლით, სიხარულით და სიამით აღავსებს, მისი „მინდვრის ყვავილის“ მიმზიდველი უბრალოება, მთელი მისი ლირიკის უშუალობა და პეოლოდიურობა ხალხური პოეზიის სულით არის გაჟღენთილი და მისი ძირებიდან საზრდოობს.

დიდ შემომქმედს, რომელიც ხალხში ხედავდა „იმდენ ღირსებასა და ნიჭს, იმდენ თვისებასა და თავისუფალ ნებას, რომ არ შეიძლება ამას აღტაცება არ გამოეწვია“, კლასიკური პოეზიის შექმნის აუცილებელ პირობად ხალხთან კავშირი მიაჩნდა.

თავისი დროის გერმანიის უბადრუკობით გულამღვრეული გოეთე ხალხთა უკეთეს მომავალზე ოცნებობდა და სამშობლოს აყვავების შესაძლებლობას გერმანიის გაერთიანებაში ხედავდა. იგი ოცნებობდა ერთიან გერმანიაზე, სადაც იქნებოდა „ერთიანი ზომა და წონა, ერთიანი ვაჭრობა და საქონლის მიმოქცევა“. გოეთეს ამ ოცნებით სუნთქავს დღესაც გერმანიაში თავისუფალი ნების ხალხი; ამერიკელ-ინგლისელი რეაქციონერები, რომლებმაც დააქუცმაცეს გერმანია და სურთ იგი თავიანთი შავბნელი მიზნებისათვის გამოიყენონ, ვერ შეძლებენ ხელი შეუშალონ პროგრესულ გერმანელ ხალხს ერთიანი დემოკრატიული გერმანიის შექმნაში.

* * *

გოეთეს შემოქმედება, მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა და სინამდვილისადმი ორმაგი დამოკიდებულებისა, რომელიც მას ახასიათებს, ერთი მაგისტრალური ხაზით ვითარდება, რომლის ნიშანსვეტი „გოც ფონ ბერლიხინგენი“, „ვერტერი“ და „ფაუსტია“. იმ მოვლენების შეფასებაშიც კი, სადაც გენიოსი გოეთე უკან იხევს „ვაიმარის უმნიშვნელო მინისტრის“ წინაშე და ფილისტერი ზეიმობს, ყოველთვის თავს იჩენს „კოლოსალურად დიდი“ გოეთე.

მიუხედავად უარყოფითი დამოკიდებულებისა საფრანგეთის რევოლუციისადმი, რომელიც ფილისტერმა გოეთემ არ მიიღო, მან გენიოსის შორსმჭვრეტელობით შეაფასა მისი მსოფლიო მნიშვნელობა. გოეთე დაესწრო ვალმისთან ბრძოლას, რომელიც გერმანელთა ჯარების დამარცხებით დამთავრდა. ცნობილია რევოლუციონერთა ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ გოეთეს სიტყვები: „დღეიდან იწყება მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, და თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ მოწამენი იყავით მისი ჩასახვისა“.

გოეთეს შემოქმედების გვირგვინს წარმოადგენს გენიალური პოემა „ფაუსტი“, რომლის შექმნაზეც იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდა. ფაუსტის უდრეკ, ამბოხ ბუნებას სულს უხუთავს არსებულის უბადრუკობა. მისთვის აუტანელი ხდება აზრგამოფიტული დოგმებისა და სქოლასტიკური ფორმულების ქვეყანა. თვით ზეცისა და ქვესკნელის სულთა ერთობლივმა მოქმედებამაც კი ვერ მიანიჭა მას ბედნიერება, სანამ ახალი შემოქმედების ცეცხლით ანთებულმა ტიტანმა ხალხთა უკეთესი მომავლის, თავისუფლების და ბედნიერების შექმნის საქმეს არ მოჰკიდა ხელი. გო

დიდი ბერლინის მაგისტრატის წერილი

ბერლინი, 21 მარტი. (საკდესი). აღნ-ის საგენტო გადმოგვცემს დიდი ბერლინის მაგისტრატის ინფორმაციის უწყების ცნობას, რომ მაგისტრატმა დასავლეთ ბერლინის სპარლამენტო ორგანოებსა და გერმანელ ადმინისტრაციულ ხელისუფალთ გაუგზავნა წერილი თხოვნით დადებითი აზრი გამოთქვან საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადების შესახებ.

ბერლინის სენატისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია:

„საბჭოთა მთავრობის ნოტას დასავლეთი საბელმწიფოებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და ამ ნოტასთან დართულ საბჭოთა მთავრობის პროექტს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ ბერლინის მთელი მოსახლეობა მადლობითა და მოწონებით შეხვდა.

სსრ კავშირის მთავრობის ეს დიდი მნიშვნელობის ნაბიჯი, რომლის მიზანია გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება, შეეფერება მშვიდობისადმი ყველა პატიოსანი გერმანელის მისწრაფებას. იგი ახალ ძლიერ დახმარებას უწევს გერმანელ ხალხს საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისათვის და ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის ბრძოლაში.

გერმანიის ჯერ კიდევ სექტორებად დაყოფილი დედაქალაქის მოსახლეობა უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა ქალაქის მოსახლეობა, დაინტერესებულია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებით.

ბერლინის თვითეულმა მცხოვრებმა იცის, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული საფუძვლები გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა ნიშნავს აგრეთვე გერმანიის გათიშვის გადალახვას და ჩვენი დედაქალაქის ერთიანობის აღდგენას. ამიტომ საბჭოთა მთავრობის დოკუმენტებს, რომლებიც დასავლეთ საბელმწიფოებს 1952 წლის 10 მარტს გადაეცა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბერლინის მოსახლეობის მომავლისათვის.

საბჭოთა მთავრობის განცხადება, რომ საზავო ხელშეკრულების შემუშავებაში უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს გერმანიამ მთელი გერმანიის მთავრობის სახით, დიდი ბერლინის მაგისტრატს საბაბს აძლევს მიმართოს ბერლინის დასავლეთი სექტორების საპარლამენტო ორგანოებს და გერმანელ ადმინისტრაციულ ხელისუფალთ თხოვნით — გამოთქვან დადებითი აზრი საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებათა შესახებ. ემყარება რა რწმენას, რომ საბჭოთა მთავრობის ნოტა წარმოადგენს მოლაპარაკების რეალურ საფუძველს, დიდი ბერლინის მაგისტრატმა გადაწყვიტა გამოიჩინოს ეს ინიციატივა, რომლის მიზანია ერთობლივი მოლაპარაკების მიღწევა.

მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების განცხადება, რომ მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის წინადადებას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ, ხელს შეუწყობდა გერმანიის საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტას.

საზავო ხელშეკრულების შემუშავებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია მთელი გერმანიის თათბირის მოწვევა, რათა მოეწყოს მთელი გერმანიის თავისუფალი არჩევნები და შეიქმნას მთელი გერმანიის დემოკრატიული მთავრობა. ეს იქნებოდა აგრეთვე დემოკრატიული ბერლინის ერთიანობის აღდგენის გზა.

დიდი ბერლინის ყველა სექტორის მოსახლეობა უკანასკნელ დღეებში სრული უფლებით მოითხოვდა დასავლეთი და აღმოსავლეთი ბერლინის პასუხისმგებელი ორგანოებისაგან, რომ ისინი განსაკუთრებული სერიოზულობით მოპყრობოდნენ საბჭოთა მთავრობის ნოტას დასავლეთ სახელმწიფოებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. მოსახლეობა მოელის, რომ ეს ორგანოები იმ ახალი მდგომარეობის გამო, რაც საბჭოთა კავშირის მთავრობის სამშვიდობო ნაბიჯის შედეგად შეიქმნა, დაუყოვნებლივ მიიღებენ ღონისძიებებს, რომლებიც უკუაგდებენ წერილმან ბუკვნსა და პარტიულ კინკლაობას და სამსახურს გაუწევენ საერთო საქმეს“.

იდენტური წერილები დაეგზავნთ: დეპუტატთა საქალაქო კრებას, ბერლინის დასავლეთი სექტორების 12-ვე ადმინისტრაციული რაიონის დეპუტატთა რაიონული კრებების თავმჯდომარეებსა და რაიონულ ბურგომისტრებს.

დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა „გერმანელთა მშვიდობის პარტია“

ბერლინი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც ბონსა თუწყობა, ამ დღეებში შტუტგარტში დაარსდა „გერმანელთა მშვიდობის პარტია“. დასავლეთ გერმანიის ამ ახალი პარტიის პირველი თავმჯდომარეა კალეშტაინი (ყოფილი უპარტიო), მეორე თავმჯდომარე — არნოლდ კანტატი (ყოფილი უპარტიო), პარტიის მდივანი —გეორგ ნიკოლაუსი (აგრეთვე ყოფილი უპარტიო, ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების წევრი).

„გერმანელთა მშვიდობის პარტიის“ მიერ გამოქვეყნებულ ფურცელში, რომელსაც ხელს აწერენ პარტიის ხელმძღვანელები — კალეშტაინი და კანტატი, კერძოდ, ნათქვამია, რომ პარტია იბრძვის მშვიდობის დამყარებისა და უზრუნველყოფისათვის და გერმანიის გაერთიანებისათვის სრული დამოუკიდებლობის პირობებში.

პარტია, ნათქვამია ფურცელში, იბრძვის ყოველგვარი შეიარაღებისა და რეკრუტირების წინააღმდეგ და ამით ხალხთა შორის ყოველგვარი სიმარი შეტაკების წინააღმდეგ.

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისია პეკინს ჩავიდა

პეკინი, 21 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება, რომ დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის კომისია კორეიდან გუშინ პეკინს ჩამოვიდა. კორეაში იგი აგროვებდა მასალებს, რომლებიც შეეხება ამერიკელ აგრესორთა დანაშაულებრივ მოქმედებას და, კერძოდ, მათ მიერ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებას. პეკინის ვაგზალზე კომისიის წევრებს შეხვდნენ ჩინელ იურისტთა წარმომადგენლები, ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის და მშვიდობის დაცვის ჩინეთის სახალხო კომიტეტის და სრულიად ჩინეთის ქალთა დემოკრატიული ფედერაციის წარმომადგენლები.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 20 მარტი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეგანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან ყველა ფრონტზე და ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალ ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს მოწინააღმდეგის თვითმფრინავები თავს დაესხნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროთა რაიონებს. ჩვენი ჯარების საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 6 ავიაგამანადგურებელი.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 20 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა 19 მარტს კესონგიდან გადმოგვცა:

ამერიკელებმა გადასინჯეს წინადადება ორივე მხარისათვის გადმოტვირთვის დაწესებული პუნქტების შესახებ. კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების დღის წესრიგის მე-3. პუნქტის განმხილველ შტაბის ოფიცერთა დღეგანდელ სხდომაზე მათ ჩვენი მხარისათვის გადმოტვირთვის პუნქტებად მოითხოვეს სინიეჯუ, ჩონჯინი, ხამხინი ხინამის ჩათვლით, მანფოჯინი და ნამფო ფხენიანის მიდამოებში არსებული აეროდრომების ჩათვლით, და თავისი მხარისათვის გადმოტვირთვის პუნქტებად — პუსანი, ინჩონი, კანნინ, კუსანი და ტეგუ.

ჩვენმა მხარემ მათ მოაგონა, რომ ორივე მხარეს შორის მიღწეული შეთანხმება ნათლად აწესებს გადმოტვირთვის პუნქტების რაოდენობას — ხუთს, მაშინ როცა ისინი ჩვენი მხარისათვის ფაქტიურად მოითხოვენ გადმოტვირთვის ხუთ პუნქტზე მეტს.

უეჭველია, ხამხინი და ხინამი გადმოტვირთვის ორი პუნქტია. თავდაპირველად ჩვენმა მხარემ გადმოტვირთვის ერთ-ერთ პუნქტად დაასახელა ხამხინი, მაგრამ შემდეგ, მიიღო რა მხედველობაში ამერიკელთა აზრი, მის ნაცვლად დაასახელა ხინამი. რაც შეეხება ნამფოს და აეროდრომებს ფხენიანის რაიონში, ჩვენს მხარეს ოდნავი განზრახვაც კი არა აქვს გამოიყენოს ისინი გადმოტვირთვის პუნქტებად — ჯარების შემოსაყვანად მორიგეობის წესით და ბარაღისა და საჭურვლის შესაცვლელად და ამიტომ ისინი არ შეიძლება ჩათვლილ იქნას გადმოტვირთვის დაწესებული პუნქტების რიცხვში.

ამერიკელი აგრესორები კვლავ ხმაურობენ კორეაში ბაქტერიოლოგიურ იარაღს

პეკინი, 20 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კორეის ფრონტიდან 19 მარტს იუწყება:

6-დან 10 მარტამდე ამერიკელები კორეაში კვლავ ჰყრიდნენ მომაკვდინებელი ბაქტერიებით დასნებოვნებულ მწერებს, შეხვეული სურსათსა და გარეული ფრინველებს. სამხედრო თვითმფრინავებმა ბაქტერიოლოგიური თავდასხმა მოახდინეს დიდ ტერიტორიაზე სუნანის, სუკჩონის, სიბიონის, ფხენიანის, უნსანის, მუნჩონისა და ჩხოლვონის რაიონებში.

6 მარტს მტრის თვითმფრინავმა, რომელიც მცირე სიმაღლეზე დფრინავდა, სუნანში ჩამოყარა ბაქტერიებით დასნებოვნებული ყვითელი ფოთლები. იმავე დღეს დილის 9 საათზე სუკჩონს გადაუფრინა მტრის 6 რეაქტიული თვითმფრინავმა. ერთმა მათგანმა ჩამოაგდო ქაღალდის პარკი, რომელიც სავსე იყო ობობებით. იმავე დღეს ბაქტერიოლოგიური ბომბები ჩამოყარეს სიბიონის მახლობლად.

7 მარტს მომაკვდინებელი ბაქტერიებით დასნებოვნებული მწერები ჩამოყარეს უნსანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო ფხენიანის აღმოსავლეთით ჩამოყარეს შეხვეული მოწამლული სურსათი — ორცხობილა და კოსსერი.

9 მარტს მტრის ორმა თვითმფრინავმა მუნჩონში ჩამოყარა ბაქტერიებით დასნებოვნებული რწყილები.

10 მარტს დილის 6 საათზე მტრის 4 თვითმფრინავი გამოჩნდა ჩხოლვონის ჩრდილო-დასავლეთით და ჩამოაგდო ბატერიის ტომარა, რომელშიც იყო მოწამლული ღორის ხორცი. დღის 5 საათზე მტრის 8 მსუბუქი ბომბდამშენი გამოჩნდა კუჯანის მახლობლად და გამოუშვა მომაკვდინებელი ბაქტერიებით დასნებოვნებული დიდძალი ფრინველი, რომელიც ყაყაჩოს წაგავს.

ამავე დღეების განმავლობაში ამერიკის ჯარები ბაქტერიოლოგიურ ყუმბარებს უშენდნენ ჩვენს პოზიციებს. 6 მარტს დილის 9 საათსა და 45 წუთზე ყუმბარები დაუშინეს ჩვენს პოზიციებს ჩანგდორის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ყუმბარების აფეთქებისას გამოჩნდა თეთრი კვამლი და ბაქტერიები დასნებოვნებული ბუზები. ამავე დღეს სანენთან მტრის ერთ-ერთი ყუმბარის აფეთქებისას გაიფანტა მომაკვდინებელი ბაქტერიებით დასნებოვნებული ქათმის ფრთაბუმბული.

9 მარტს დღის 1 საათზე მოწინააღმდეგემ 10-ზე მეტი საარტილერიო ზალპი გაისროლა ჩვენი პოზიციებისაკენ პანმინჯონთან. აფეთქებისას ყუმბარებიდან გამოფრინდა დასნებოვნებული ბუზები და გადმოცვივდა ჭიანჭველები.

ამერიკელი აგრესორები კორეის ფრონტზე შხამიან გაზებს იყენებენ

სინხუას საგენტოს ცნობა

პეკინი, 20 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კორეის ფრონტიდან იუწყება:

ამერიკელმა აგრესორებმა, რომლებიც ბაქტერიოლოგიურ ომს აფართოებენ, ამავე დროს კორეის ფრონტზე კვლავ იხმარეს შხამიანი გაზები.

10 მარტს 0 საათსა და 15 წუთზე ჩვენი ჯარების პოზიციებზე ფხენიანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 9 კილომეტრზე ამერიკის არტილერიამ გაისროლა 30-ზე მეტი ყუმბარა. ზოგიერთი ყუმბარა გატენილი იყო შხამიანი გაზით, რომელიც აფეთქების შემდეგ ყვითელთეთრი კვამლის სახით გამოიყო და გოგირდისა და ბენზინის სუნი გაავრცელა.

12 მარტს, დაახლოებით 16 საათზე, ამერიკის 4 თვითმფრინავმა აღმოსავლეთ სანაპიროზე კესონის სამხრეთით მდებარე რაიონში სახალხო ჯარების პოზიციებს მახლობლად ჩამოაგდო მახრჩობელა და ცრემლმდენი გაზებით გატენილი ბომბები. ამ ბომბების აფეთქების შემდეგ გაჩნდა მწვანე ალი, რომელსაც წიწაკის სუნი სდიოდა.

ამერიკელი იმპერიალისტები განაგრძობენ ბაქტერიოლოგიურ ომს ჩინეთის წინააღმდეგ

პეკინი, 20 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი მუკდენიდან იუწყება:

ამერიკელი აგრესორები აფართოებენ ბაქტერიოლოგიურ ომს ჩინეთის წინააღმდეგ. 9-დან 12 მარტამდე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები კვლავ ყრიდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის რაიონებში ბაქტერიებით დასნებოვნებულ მწერებს და სხვადასხვა დასნებოვნებულ საგნებს.

9 მარტს ამერიკის 38 თვითმფრინავმა რვა ჯგუფად გადაუფრინა ლანტოუს, ლუნვანმიაოს, ფინჩენს, ჩანდიანხეკოუს, ხუანჯეკნი, ჩანბაისა და ძიანს და ამ პუნქტებში გადმოყარა ბაქტერიებით დასნებოვნებული მწერები. იმავე დღეს ფინჩენში, ხუანჯეკნში, ჩანბაისა და ძიანში აღმოჩენილი იქნა ბაქტერიებით დასნებოვნებული მოსიტები, ბუზები, ობობები და სხვა მწერები.

10 მარტს ამერიკის 42 თვითმფრინავმა რვა ჯგუფად გადაუფრინა ანდუნს, ანპინხეს, ჩანდიანხეკოუსს და ბაიჩეძის და ამ პუნქტებში ჩამოყარა დასნებოვნებული მწერები. იმავე დღეს ულუნბეში, რომელიც ანდუნის მიდამოებში მდებარეობს, აღმოჩენილ იქნა ბაქტერიებით დასნებოვნებული დიდძალი ფოთოლი, ხოლო ლინძიანსა და სხვა ადგილებში — დიდძალი დასნებოვნებული ბუზი, მოსკიტი, ჭიანჭველა, ობობა, ჭრიჭინა და რწყილი.

11 მარტს ამერიკის 27 თვითმფრინავმა ოთხ ჯგუფად გადაუფრინა ანდუნს, ლანტოუს, ძიულიანჩენს, ანპინხეს, ჩანდიანხეკოუსა და ტუმინძის. იმავე დღეს ლუნვანმიაოში ანდუნის დასავლეთით ეთვინეს ამერიკის თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი ბაქტერიებით დასნებოვნებული ქათმის, იხვისა და ბატის ფრთაბუმბული, ხოლო ლანტოუში — მატერიის სამი პარკი, რომლებშიც იყო თეთრი შხამიანი კრისტალისებრი ნივთიერება და ყვითელი ფხვნილი.

12 მარტს ამერიკის 62 თვითმფრინავმა 11 ჯგუფად გადაუფრინა ანდუნს, ანპინხეს, ფუნდიანხეკოუს, დადუნგოუს, ფინჩენს, სიეიანსა და ძიანს. ერთ-ერთმა მათგანმა დაბომბა და ტყვიამფრქვევი დაუშინა ძიანის მაზრის სანდაოკოუსა და ხუანბაიტიანძის პუნქტებს და რკინიგზის უბანში ხუანბაიტიანძისა და ანფინის რკინიგზის სადგურებს შორის ჩამოყარა წებოვანი შხამიანი ნივთიერება.

საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისიის მიმართვა

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა ტექსტი მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისიის მიმართვისა ფრანგებისადმი ბაქტერიოლოგიური იარაღის შესახებ, რომელსაც ამერიკელი აგრესორები ხმარობენ კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. მიმართვაში ნათქვამია:

„პროტესტი გამოაცხადეთ ბაქტერიოლოგიური ომის წინააღმდეგ და უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე, მოითხოვეთ მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვა!

1952 წლის 15 მარტს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარის ბ-ნ გო მო-ჟოს დეპეშისა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მოწოდების შემდეგ, მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივმა კომისიამ საგანგებო სხდომაზე განიხილა ბაქტერიოლოგიური ომის საკითხი. ჩინეთის მთავრობა ამერიკის სარდლობას ბრალად სდებს, რომ მან 1952 წლის 28 იანვარს დაიწყო ბაქტერიოლოგიური ომი კორეის ტერიტორიასა და ჩინეთის ტერიტორიაზე. ბ-ნმა აჩესონმა უარყო ეს სერიოზული ბრალდება.

მუდმივი კომისია მისაღებად და დამაკმაყოფილებლად ვერ მიიჩნევს ლიტონ უარყოფას და გამოძიების შემოთავაზებულ პროცედურას. იგი მოაგონებს, რომ მოსპობის მიზნით წარმოებული ომი, რასაც ნაცისტთა საკონცენტრაციო ბანაკებში ეწეოდნენ და რასაც დღეს სდადგამ ვერავინ გაბდის, იყო ობიექტი უარყოფისა და გამოძიებისა, რამაც ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო.

საზოგადოებრივმა აზრმა უნდა იცოდეს:

ჯერ-ერთი, რომ ბაქტერიოლოგიური ომი შესაძლებელია და იგი უკვე წარმოდგა. 1949 წლის დეკემბერში ხაბაროვსკის პროცესზე იაპონელი სამხედრო დამნაშავენი მსჯავრდადებულ იქნენ იმისათვის, რომ ხელმძღვანელობდნენ ბაქტერიოლოგიურ ომს და 1940 და 1941 წლებში შავი ჭირი გაავრცელეს ჩინეთის ქალაქებში ნინბოსა და ჩანდეში.

მეორე, რომ ამერიკის პარლამენტმა მნიშვნელოვანი კრედიტები დაამტკიცა ბაქტერიოლოგიური ომის მოსამზადებლად და რომ ამერიკის შტაბის განკარგულებაში მყოფი ლაბორატორიები ამაზე მუშაობენ.

მესამე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეთა განცხადებით შეიძლება დადასტურებულ იქნას, რომ ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური ომი შეტანილია ამერიკის მთავრობის გეგმებში.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა ყოველ ღონეს იხმარს ამისათვის, რომ ცხადყოს სამართალი. იგი მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, რომ არავის არ შეუძლია დარჩეს გულგრილი საფრთხის წინაშე, რომელიც ცივილიზაციას ემუქრება. იგი მოუწოდებს საზოგადოებრივ აზრს პროტესტი განაცხადოს ამ დანაშაულის წინააღმდეგ, როგორიც არის ბაქტერიოლოგიური ომი, და უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე, მოითხოვოს მასობრივი მოსპობის ყოველგვარი იარაღის აკრძალვა“.

ამერიკელ იმპერიალისტთა საშინელი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 20 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სოფლებში იმართება ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები ამერიკელ იმპერიალისტთა მხეცობის წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის მშვიდობის მომხრეთა კომიტეტში რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოდის ათასობით რეზოლუცია, წერილი და დეპეშა, სადაც რესპუბლიკის მშრომელები გამოთქვამენ სიძულვილს ამერიკელი აგრესორებისადმი, რომლებმაც ბაქტერიოლოგიური ომი დაიწყეს კორეელი და ჩინელი ხალხების წინააღმდეგ. მშრომელები მოითხოვენ ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვას, აგრეთვე ამ საშინელი ბოროტმოქმედების ინიციატორების სასტიკად დასჯას.

პაკისტანი

კარაჩი, 20 მარტი. (საკდესი). ოუნაიტედ პრეს ოფ პაკისტანის საგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ ქალაქ კარაჩის მშვიდობის დაცვის კომიტეტი შაბრს უუბერს ეოლიო-კიურის განცხადებას, რომლითაც იგი მსოფლიოს ყველა ხალხს მოუწოდებს პროტესტი განაცხადონ კორეასა და ჩინეთში ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ ბაქტერიოლოგიური ომის გაჩაღების წინააღმდეგ. საგენტო აგრეთვე გადმოგვცემს, რომ მშვიდობის დაცვის კომიტეტი პაკისტანის ყველა პარტიას მოწოდებით მიმართავს მოსთხოვონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ატომური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვა.

მოსალიქის გამოსვლა

თეჰერანი, 20 მარტი. (საკდესი). ამ დღეებში ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიყმა მიიღო ამერიკელი ჟურნალისტები და მათ წინაშე ფრანგულ ენაზე წარმოთქვა სიტყვა, რომლის სპარსული ტექსტი გამოაქვეყნეს თეირანის გაზეთებმა „ირანმა“, „შაჰედმა“ და „სიასატემამ“.

თავის სიტყვაში მოსადიყმა შეაჯამა ის შედეგები, რაც მოჰყვა მოძრაობას ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის, აჩვენა იმ წინააღმდეგობის შედეგი, რასაც ირანი უწევს ინგლისის იმპერიალიზმის ზეგავლენის, რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის იმპერიალიზმი.

მოსადიყმა თავისი სიტყვის დასასრულს მოიყვანა ირანის საშინაო საქმეებში ინგლისის დიპლომატიური წარმომადგენლების ჩარევის ოთხი დოკუმენტი. ეს დოკუმენტები ეკუთვნიან 1920 წელს და იმას მოწმობენ, თუ როგორ აძლევდნენ ინგლისელები ქრთამს ირანის ხელისუფალთა ზოგიერთ წარმომადგენელს 1919 წლის ხელშეკრულების დამტკიცებაზე მათი თანხმობისათვის, აგრეთვე იმას, თუ როგორ ერეოდა ინგლისის საელჩო ირანის მინისტრების დანიშვნის საქმეში.

ამერიკელი იმპერიალისტები ამზადებენ ბაქტერიოლოგიურ ომს

ფუსანი, 21 მარტი. (საკდესი). ინფორმაციის ინგლისური ბიურო ტოკიოდან იუწყება:

ამერიკელ ოფიცრებს ბაქტერიოლოგიური ომისა და ბაქტერიოლოგიური იარაღის ფაბრიკა-ქარხნებში, ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიებში, ბაქტერიოლოგიურ ბომბებსა და ბაქტერიოლოგიურ ნაღმებში ამზადებენ ბაქტერიოლოგიურ ომისა და ბაქტერიოლოგიური იარაღის ექსპერიმენტებისა და ფაბრიკაციისა ... ...